ფ. მახარაძე.

სვანეთი

სასოლმწიფო გამომცემლობა.

ტფილისი—1925.

ფ. მახარაძე.

სვანეთი

СССР МЕЦНИЕРЕБАТА АКАДЕМИЯ
აკად. ნ. მარის სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. Н. Марра
Академия наук СССР

ახალგაზრდა გამომცემლობა.
ტფილისი—1925.

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, სამა წულუკიძის ქ. № 4.
შეკვ. № 180. :: ტირაჟი 2000 :: მთავლ. 1790.

სვანეთი.

I

სვანეთის და სვანების მდგომარეობის შესახებ ლეემ დისაც ძლიერ იშვიათად თუ ვისმეს ნამდვილი და სწორი წარმოდგენა აქვს. სვანები უხსოვარ დროიდან ჩაკეტილი იყვნენ მიუვალ და უზარმაზარ მთებში მდინარეების: **ენგურის** და **ცხენისწყალის** სათავეებში, რომლებიც ამ ადგილებში წარმოადგენენ მეტად ვიწრო ხეობებს.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: სვანეთი შესდგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც როგორც გეოგრაფიულად, ისე რაოდენობრივად ისტორიულადაც, განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ერთი უფრო დიდი ნაწილი სვანეთისა იმყოფება მდ. **ენგურის სათავეებში** და მას ეწოდება **ზემო სვანეთი**; მეორე ნაწილს კი უჭირავს მდ. **ცხენისწყალის სათავეები** და ის ცნობილია **ქვემო სვანეთის** სახელწოდებით. ზემო სვანეთს ჰყოფენ ქვემო სვანეთიდან საკმარისად დიდი ყინულიანი მთები (ლაჰლა, ლვადარიაში, ლური, ლატფარი და სხვ.). ქვემო სვანეთი აკრავს ლეჩხუმის მაზრას, რომელთანაც მას მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს. რამდენად შედარებით უფრო ადვილი მისადგომი ალაგია ქვემო სვანეთი, იმდენად მიუდგომელია ზემო სვანეთი. ენა, ყოფა-ცხოვრება და ზნე ჩვეულებები თითქმის ერთი და იგივეა ორივე სვანეთში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემო სვანეთსა და ქვემო სვანეთს შორის მაინც ბევრი განსხვავებაა. მართალია, უკვე ქვემო სვანეთშიაც ადამიანი გრძნობს თავის თავს დანა-

რჩენი ქვეყნიერებიდან მოწყვეტილად, მაგრამ მხოლოდ ზემო სვანეთში შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მართლაც მოწყვეტილი ხართ ყოველი მხრით ქვეყნიერებას და იმ-ყოფებით სავსებით მკაცრი ბუნების ზეგავლენის ქვეშ. უზარმაზარი ყინულიანი მთები, რომლებიც თითქმის ყოველგან დაჰყურებენ სვანეთის არე-მარეს, თითქო მთელი თავისი სიძლიერით აწვებიან ადამიანს და იმორჩილებენ მას. და მართლაც, როცა უკვირდებით სვანეთის დღევანდელ ვითარებას, თქვენ იმ დასკვნამდე მიდიხართ, რომ აქ ადამიანს ბუნებასთან ბრძოლაში ვერ გაუმარჯვნია, მას ვერ უძლევია ბუნების ძალები. სვანეთის ხალხი უხსოვარ დროიდან თავის ანაბარა დარჩა, და საკუთარი ძალებით მან ვერ შესძლო პირველყოფილ მდგომარეობისათვის თავი დაეღწია. ხშირად გაიგონებთ, თუ გსურთ საშუალო საუკუნეების ყოფა-ცხოვრების გაეცნოთ, სვანეთი ინახულეთო. ეს სავსებით სწორე არაა. საქმე იმაშია, რომ სვანეთის ყოფა-ცხოვრება, სვანეთის კულტურა საშუალო საუკუნეების ყოფა-ცხოვრებაზე და მის კულტურაზე დაბლა სდგას.

საშუალო საუკუნეებში ჩვენ ვხედავთ ქალაქებს, ჩვენ ვხედავთ ხელოსნობის და ხელოსნური წარმოების განვითარებას, ჩვენ ვხედავთ მიმოსვლის და ვაჭრობის განვითარებას, მეცნიერებას, ფილოსოფიას და ხელოვნებას. რომ თავი დავანებოთ. სვანეთმა არ იცის არაფერი ამის მსგავსი: იქ არ ყოფილა არასოდეს ქალაქის და ხელოსნურ წარმოების ნასახიც. თქვენ ყოველგან ხედავთ ერთგვარ, ერთფეროვან სოფლებს, თემებს, რომლებიც ერთიერთმანეთის ახლოა, რომლებიც ერთმანეთს გვანან ყველაფერში. სვანეთმა არ იცის ვაჭრობა, იქ ასეთი რამ არასოდეს არ ყოფილა და არც ეხლაა. სვანეთის ხალხმა

ვერ დააღწია თავი საოჯახო წარმოებას; ეს უკანასკნელი იქ არ დაშლილა და არ გადასულა ხელოსნურ წარმოებაში. ამიტომ ყველა დამეთანხმება იმაში, რომ სვანეთის ყოფა-ცხოვრება საშუალო საუკუნეების ყოფა-ცხოვრებასთან შედარებით დაბლა სდგას ამას მოწმობს **აგრეთვე საგვარეულო წესწყობილების** (Родовое начало) და აგრეთვე **სისხლის აღების** ჩვეულების დაცვა დღემდე.

ერთად ერთი ფაქტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ დღევანდელი სვანეთი წარმოადგენს საშუალო საუკუნეების ყოფა-ცხოვრებას, არის ის, რომ სვანეთი დაფარულია ციხე-კოშკებით, რომ არამც თუ სოფელი, არამედ თითოეული ოჯახი (გვარეულობა), რომელიც შესდგება 20-60 სულისაგან, წარმოადგენს ნამდვილ ციხეს. ამ ციხეების არსებობას დღეს ყოველი აზრი დაკარგული აქვს. ის მოგვაგონებს მხოლოდ წარსულ ცხოვრებას, როცა სვანეთის ხალხი ებრძოდა გარეშე მტრებს; მაგრამ იგივე გარემოება მოწმობს აგრეთვე იმასაც, რომ სვანების ცალკე გვარეულობები იბრძოდენ ურთიერთ შორისაც; მაშასადამე, ამ ციხე-კოშკების არსებობაც ბოლოს იმას მოწმობს, რომ საგვარეულო წესწყობილება აქ განვლილი კიდევ არ ყოფილა.

მე იმის თქმა მინდა, რომ სვანეთმა თავისი საკუთარი ძალებით ვერ შესძლო პირველყოფილ მდგომარეობისათვის თავი დაეღწია. მან ვერ მიაღწია იმ ეკონომიურ საფეხურამდე, რომელიც ახასიათებს საშუალო საუკუნეების ეკონომიურ ვითარებას. ერთად-ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო გავლენა ჰქონებოდა სვანეთზე ძველ და საშუალო საუკუნეებში, იყო საქართველო, სახელდობრ იმერეთის სამეფო და სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროები. მაგრამ მაშინდელი საქართველოს გავლენა სვანე-

თზე გამოიხატა თითქმის მარტო იმაში, რომ იქ შეტანილ იქნა ერთი მხრივ ქრისტიანობა, რომელმაც სვანეთში მეტად პრიმიტიული სახე მიიღო, და მეორე მხრივ ფეოდალური წესწყობილება, ბატონყმური ურთიერთობა.

რამდენადაც ცნობილია და იერკვევა, ბატონყმობამ მეტად სასტიკი სახე მიიღო სვანეთში. ქვემო სვანეთი ეკუთვნოდა თ-დ დადიანებს, სამეგრელოს მთავრებს, და მას ეწოდებოდა **ხადადიანო სვანეთი**. რაც შეეხება ზემო სვანეთს, აქ საქმე ასე მოეწყო: მისი დასავლეთი ნაწილი, დაწყებული ბეჩოდან, თ-დ დადიშქელიანებმა დაიჭირჩილეს, და ამ ნაწილს ეწოდებოდა **ხადადიშქელიანო სვანეთი**. ხოლო ზემო სვანეთის აღმოსავლეთმა ნაწილმა, რომელიც იწყება **ბალის ულელტეხილით** და თავდება **უშგულიხ** თემით, შეინარჩუნა თავისი თავისუფლება და არ მისცა დადიშქელიანებს გლეხებისათვის ბატონყმური უღელი დაედო კისერზე. ამიტომ ამ ნაწილს სამართლიანად ეწოდებოდა **თავისუფალი სვანეთი**. ეს იყო გამონაკლისი საერთო სურათიდან. სვანეთის დანარჩენ ნაწილებში ფეოდალურ მებატონეთაგან გლეხების დაჩაგვრა და დაბინება უსაზღვრო იყო და ეს გრძელდებოდა ეგრედწოდებულ საგლეხო რეფორმის შემდეგაც, რაც სვანეთზე გავრცელებულ იქნა მხოლოდ 1867 წელს, მხოლოდ 1918 წელს, როცა სვანეთამდე, როგორც იყო, ოქტომბრის რევოლიუციის ამბებმა მიაღწიეს, სვანეთის გლეხობამ მუსრი გაავლო ფეოდალურ წყობილებას, თავადების: დადიშქელიანების და გარდაფხაძეების ფიზიკური ამოჟლეტით და მათი ციხე-კოშკების და სასახლეების დანგრევა-გადაწვით. ასე გადაუხადა სვანეთის გლეხობამ თავის მტარვალებს და მჩაგვრელებს, რომლებიც მას რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში სისხლს სწოვდენ, როცა მან გან-

თავისუფლება იგრძნო. მან არამც თუ ფიზიკურად გაანადგურა სვანეთის თავადობა, არამედ მოსპო ყოველგვარი გარეგანი გამოხატულებაც კი, რაც მას ძველ ჩაგვრას და მონობას აგონებდა. სვანეთის გლეხობა მსჯელობდა ასე: თუ სადმე კიდევ გადარჩა დადიანების ან დადიშქელიანების მემკვიდრე და თუ თვით სვანეთში კიდევ დარჩა დაუნგრეველი ერთი იმათი სასახლეთაგანი, შესაძლებელი იქნება, რომ ეს მემკვიდრე დაბრუნდეს და კვლავ განაახლოს ჩვენზე ბატონობაო. ამ ზომამდე დიდი იყო სვანეთის გლეხკაცობის ზიზღი და აღშფოთება თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მეორე მხრით, ეს მოვლენა თაეის თავად დიდათ დამახასიათებელია: ის მოწმობს იმას, რომ მართალია სვანეთის ხალხმა დიდი ტანჯვა განიცადა, დიდი ჩაგვრა და მონობა გამოიარა, მაგრამ ამ ჩაგვრამ და მონობამ იგი სამუდამოდ ვერ გასტეხა წელში, საბოლოოდ ვერ მოახრევინა მას ქედი თავის მტარვალების წინაშე, რომ სვანეთის გლეხობაში ყველა მის თავზე დატეხილ უბედურებას ვერ აღმოეფხვრა ძლიერი გრძნობა თაეისუფალ და ადამიანურ ცხოვრებისა.

როცა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში სამეფოები და სამთავროები დაიშალენ და გაუქმდენ, რუსეთის თვითმპყრობელობა შეეცადა სხვადასხვა საშუალებებით და ხრიკებით სვანეთის დაპყრობა-დამორჩილებას. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო, მით უფრო, რომ სვანეთის გლეხობას ძალიან აშინებდა რუსეთის ბატონობის დამკვიდრება სვანეთში. მეფის მთავრობას სურდა სვანეთში შესვლა თოფით და ზარბაზნით, ე. ი. ფიზიკური ძალით დამორჩილება, და იგი ანგარიშს არ უწევდა არც სვანეთის გეოგრაფიულ პირობებს და არც სვანეთის გლეხკაცობის თავისებურ ხასიათს,—ეს ხალხი

ხომ ათასოვან წლების განმავლობაში გაურბოდა გარეშე მტრების თავდასხმას და მასზე გაბატონებას. შეიძლება ითქვას, რომ მეფის მთავრობამ სვანეთში ფეხი ვერ მოიკიდა და მისი ზეგავლენა სვანეთის ხალხზე სრულებით ვერაფრით ვერ აღიბეჭდა, თუმცა ეს გავლენა გრძელდებოდა 60 წლის განმავლობაში. არ დარჩენილა არავითარი კვალი ამ ზეგავლენისა. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ორიოდე რუსი მოხელე, რომლებიც სვანეთში დროგამოშვებით მიდიოდენ და ხოკლე ხნის განმავლობაში რჩებოდენ, ვერავითარ გავლენას ხალხზე ვერ მოახდენდენ. რუსეთის მთავრობას არ უცდია სვანეთში არა თუ რაიმე კულტურის შეტანა, ან რაიმე საწარმოო დარგის შემოღება, არამედ რაიმე ვაჭრობის შეტანაც კი. ამისათვის საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, საეტლე ან საურმე გზის გაკეთება მაინც სვანეთში, ამავე დროს ისეთი სკოლების დაარსება, რომლებიც ხალხს მიიზიდავდენ. მაგრამ მეფის თვითმპყრობელობას არც ერთი შეეძლო და არც მეორე. მართალია, 1910 წ. კავკასიის მთავრობამ გადასწყვიტა სვანეთში (ჯვარიდან ბეჩომდე) საცხენოსნო გზის გაკეთება და გააკეთეს კიდეც, მაგრამ ამას ოდნავაც არ შეეძლო სვანეთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მიმოსვლის მხრით, რადგან ის უვარგისი გამოდგა. ასეთივე ბედი ეწია სასკოლო საქმესაც. 1912—13 წლებში მეფის მთავრობა აკეთებს სვანეთში სკოლებს ერთად ერთი მიზნით: **სვანების გასარუსებლად.** მასწავლებლებს ნაბრძანები ჰქონდათ: არც ერთი სიტყვა სვანბავშვებთან არც ქართულად არც სვანურად. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ხალხი ამ სკოლებს არ მიკარებია. ერთი სარგებლობა ამ სკოლებმა მოიტანეს მხოლოდ იმ მხრით, რომ სვანეთის სხვადასხვა სოფლებში

აგებული იქნა შედარებით კარგი შენობები, რომლებიც დღეს შეკეთებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ და რომლებშიაც მოთავსებულია სკოლები. ამგვარად შეფის თვითმპყრობელობამ ვერ მისცა სვანეთს ვერავითარი საშუალება, რომ ამ უკანასკნელს თავი დაეღწია პირველყოფილ მდგომარეობისათვის, ვერ მისცა გზა განვითარებისა და წინსვლისაკენ. პირიქით, თვითმპყრობელობის მოხელეების უხეშმა მოქმედებამ სვანები კიდევ უფრო დააშორა კულტურის და განვითარების გზას, კიდევ უფრო გააძლიერა მათში შიში ყოველივე ცვლილების მიმართ, ყოველივე ახლის წინაშე. ერთი სიტყვით, მაშინდელი რუსის მთავრობის გავლენა სვანეთზე ყოველმხრივ უარყოფითი იყო. სვანეთის ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონებია ცვლილებას, ის დარჩა ისევ მოწყვეტილი დანარჩენ ქვეყნებისაგან, დაბეჩავებული და ლატაკი, მიუვალი, მიუდგომელი, უგზო-უკვლო, როგორიც ის იყო წინედ.

მხოლოდ დიდ და ღრმა რევოლიუციას შეეძლო სვანეთში ცვლილება შეეტანა. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციამ ერთ წუთს შეანძრია სვანეთი, მაგრამ ჩქარა რეაქციის მაგარმა სუსხმა გააქარწყლა მისი შედეგი. მხოლოდ 1917 წლ. ოქტომბრის რევოლიუციის მიერ ნასროლმა ტალღამ აგრძნობინა სვანეთის გლეხკაცობას ძველი წესწყობილების სამუდამოდ დამსხვრევა და მანაც გასცა ამას შესაფერი პასუხი. გლეხკაცობა განთავისუფლდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას თავის დროზე არ გამოუჩნდენ შესაფერი ხელმძღვანელები, და იგი, სწავლა-ცოდნას და განათლებას მოკლებული, დარჩა მირჩენილი თავის საკუთარ ძალებზე. ეს არ იყო კარგი, მით უფრო, რომ სვანეთი ქართველ მენშევიკების მთავრობიდანაც კარგს ვერაფერს მოელოდა. ამის გამო, რა გასაკვირველია, თუ

სვანეთში, 1918 წლიდან დაწყებული, ჩამოვარდა დიდი გამოურკვევლობა, არევ-დარევა, შეიქნა ნამდვილი ქაოსი. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება საქართველოში 1921 წელს ამ არევ-დარევას და ქაოსს რამოდენიმედ ბოლოს უღებს. სვანებისთვის, როგორც ჩამორჩენილი ხალხისათვის, საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირ მისწრება იყო. ეს იგრძნეს სვანებმა. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების გამტარებლები პირველ ხანებში ვერ გამოდგენ შესაფერნი: ზოგი მათგანი გამოუცდელი და მოუმზადებელი იყვნენ, ზოგი კიდევ არასაიმედონი, ან ნაკლებად საიმედონი; შიგა და შიგ მოხვდენ გათახსირებული და მავნე ელემენტებიც. მასთან ეს იყო ისეთი დრო, როცა სამხედრო კომუნიზმის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო. და ეი გადასწყვიტეს სვანეთის ერთი დარტყმით გაკომუნისტება ანუ საბჭოთა ხელისუფლების დანერგვა ისეთი გზით და მეთოდებით, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო საზოგადოთ და მით უფრო სვანეთში. ხალხმა ერთხანს ითმინა ყოველივე ეს, ბოლოს-გალიზიანებული პროვოკატორების მიერ—იგი ცდილობს იარაღით მოიშოროს თავიდან არასასურველი პირები და იმავე დროს აცხადებს, რომ მას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სრულებით არაფერი აქვს. ეს მოხდა 1921 წელს. სათანადო ზომების მიღების მეოხებით ეს გაუგებრობა იმ დროს იქნა აცილებული თავიდან. სვანეთში გაგზავნილ იქნენ ცენტრიდან ისეთი პირები, რომლებმაც შესძლეს ხალხის რამოდენიმედ დამშვიდება და მთავრობისადმი ნდობის მოპოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, ესენი დიდი ხნით ვერ დარჩენ სვანეთში. დაიწყო პასუხისმგებელ პირების შეცვლა, რამაც თავისთავად ხელახლა არევ-დარევა საქმე. ამასთან სამხედრო კომუნიზმის მეთოდებიც გახშირდა, რეკვიზიცია, კონ-

ფისკაცია, გაწერა, დაჯარიმება და სხვ. და სხვ. ამავე დროს კი ხალხისთვის არსებითად არაფერი კეთდებოდა. თუმცა ფული მაინც იხარჯებოდა. ასეთ პირობებში ხალხის უკმაყოფილებისათვის ნიადაგი მზათ იყო. მასთან ნუ დაივიწყებთ, რომ სვანი პირდაპირ ჯოჯოხეთურ გაჭირვებას განიცდის; მეტადრე ზამთარში, რომელიც გრძელდება სვანეთში 7 – 8 თვე. გაჩნდენ სხვადასხვაგვარი პროვოკატორები, მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და საერთოდ პარიტეტული კომიტეტის აგენტები, რომლებიც, ვინ იცის, რას არ ჰპირდებოდენ და ან როგორ უსინიდისოდ ატყუებდნენ ხალხს. როგორც წყალწაღებული ადამიანი ხავსს მოეკიდება, ისე სვანეთის ხალხიც აჰყვა პროვოკატორების ხმას და იმათი ჭორები სინამდვილეთ მიიჩნია. უნდა ითქვას, რომ სვანეთის ხალხი ძალიან ჩქარა გამოერკვა, იგი ჩქარა დარწმუნდა იმაში, რომ იგი შეიქმნა მსხვერპლი უნამუსო პროვოკაციის, რომ იგი კვლავ მოატყუეს. მკითხველი თითონ მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია გასული წლის აგვისტოს გამოსვლებზე.

უნდა ითქვას, რომ ამ ამბების შემდეგ საბჭოთა მთავრობა უფრო სერიოზულათ და უფრო მოფიქრებულად მიუდგა სვანეთს. ერთი ჭირი მარგებელიაო,—ნათქვამია, თითქო აქაც ასე მოხდა, რამოდენიმედ მაინც. უნდა ითქვას სიმართლე, როგორც დაშორებულს და იმავე დროს მიმოსვლის თითქმის ყოველივე საშუალებას მოკლებულ კუთხეს, ცენტრი პირველ ხანებში სვანეთს ვერ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას. ამ ბრძოლით 1924 წ. შემოდგომიდან ხდება დიდი გარდატეხა; შეიძლება ითქვას, რომ დღეს სვანეთს საბჭოთა საქართველოს ცენტრალური მთავრობა აქცევს უდიდეს ყურადღებას, როგორც გამოცდილ და შედარებით კარგად მომზადებულ პასუხისმგებელ

მუშაკების გაგზავნით, ისე საჭირო თანხების მიწოდებითაც. ამ უკ-ნასკნელი ერთი წლის განმავლობაში სვანეთში ბევრი რამაა დაწყებული და გაკეთებული ხალხის საჯარგებლოდ, და ამას ყველა ჰხედავს თავისი თვალით. მასთან ხელისუფლების სათავეში მდგომი პირები თუ სავსებით არა, მცირედი გამონაკლისის გარდა მაინც, სავსებით შეეფერებიან თავის მოწოდებას. დღეს სვანეთის ხალხში დიდი და ძირითადი გარდატეხაა მომხდარი. სვანები დარწმუნებული არიან იმაში, რომ მათი ხსნა შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას. დღეს სვანეთი და სვანეთის ხალხი სრულიად დამშვიდებული და დაწყნარებულია, და შეიძლება გადაჭრითაც ითქვას, რომ ამიერიდან მას ვერავინ შეიყვანს შეცდომაში და გაამეორებინებს იმას, რასაც ადგილი ჰქონდა 1921 და 1924 წლებში. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ყოველივე ნაკლი ან შეცდომა თავიდან აცილებულია და რომ ჩვენ ჯერ წინ არ გვედგას იქ ყველაზე უსაჭიროესი და უდიდესი ამოცანა.

II

სვანეთის საკითხი,—საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით, რა საშუალებით და რა ღონისძიებით უნდა აღმოეჩინოს დახმარება სვანეთის ხალხს, რომ იგი გამოყვანილ იქნას ჩამორჩენილობიდან ისტორიული განვითარების გზაზე,—ეს საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით პირველად მხოლოდ დღეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ისმება. და ის ისმება არა თეორეტიულად, არამედ პრაქტიკულად. ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა თეორიებისთვის სვანეთი საერთოდ ბევრ ძვირფას მასალას იღლევა. ამ მხრივ სვანეთისათვის არა ერთ და ორ მეცნიერს მიუმარ-

თავს. ზოგს აინტერესებდა ენათმეცნიერების საკითხები, სხვებს ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის ან სოციოლოგიის საკითხები. ყველა ამ საკითხების შესახებ სვანეთი მეცნიერებას აწვდის მდიდარ მასალას. ყველა ამ საკითხის შესწავლა და გაშუქება, რა თქმა უნდა, დიდათ საინტერესოა. ამ მხრით ბევრი გამოკვლევა დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება, სახელდობრ, იმის შესახებ, თუ რომელ რასას ან მოდგმას ეკუთვნიან სვანები, რა ენასთან აქვს ნათესავობა სვანურ ენას, საიდან გადმოსახლდენ სვანები იმ ადგილას, სადაც ისინი დღეს მოსახლეობენ და სხვა და სხვა. დეე, მეცნიერებმა იტეხონ თავი ამგვარ საკითხების გამოსარკვევად; ეს მათი საქმეა. ჩვენ კი სრულებით სხვა საკითხი გვიდგას წინ.

ჩვენ დღეს გვიდგას წინ სვანეთის ხალხი ისე, როგორიც იგი დღეს არის, რომელსაც ესაჭიროება სწავლა-განათლება და ნივთიერი წარმატება. აი ეს ამოცანა სდგას დღეს ჩვენს წინაშე. როდესაც მე გადავწყვიტე სვანეთში წასვლა, მე უმთავრესად ორი მიზანი მქონდა დასახული: 1) როგორია სვანეთის ხალხის მდგომარეობა სინამდვილეში და 2) რა უშველის ან პირველყოვლისა რა ესაჭიროება მას დღეს. ზოგიერთებმა შეიძლება მისაყვედურონ: ამის გასაგებად სვანეთში წასვლა საჭირო არ იყოო. ერთი მხრით ეს მართალია; ახალი სვანეთში მე არაფერი აღმომიჩენია. მაგრამ მიუხედავად ამისა, სვანეთში ყოფნამ და იქაური ცხოვრების დათვალიერებამ, თუმცა ზერელედაც, მე ბევრი ახალი რამ შემძინა ჩემ მიერ დასახულ მიზნების განსახორციელებლად.

ამ წერილში მე მსურს გავაცნო მკითხველებს მოკლედ ის, რაც მე სვანეთში ვნახე. ყველაფრის გადმოცემა, რა თქმა უნდა, მე არ შემიძლია და ეს არც ისე საჭიროა საქმისათვის.

პირველად მე საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო აქ უმთავრესი პუნქტები, რომლებიც მე სხვებთან ერთად სვანეთში მოგზაურობის დროს ვინახულე და სადაც მოწყობილი იყო საჯარო მიტინგები.

ლეჩხუმის სამაზრო ცენტრიდან—ცაგერიდან—ჩვენ გადავედით ქვემო სვანეთში. ცაგერიდან ქვემო სვანეთში მიდის ვიწრო საცხენოსნო ბილიკი, რომელიც მისდევს მდ. ცხენის-წყალს და რომელიც ალაგ-ალაგ ისე გაფუჭებულია, რომ მასზედ ცხენით გავლაც კი შეუძლებელია; ასეთია ეს ბილიკი განსაკუთრებით ლენტეხის თემამდე. ქვემო სვანეთი შესდგება სამი თემისაგან: ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთისაგან. სამივე ეს თემი მდებარეობს მდ. ცხენის წყლის ხეობაში და თითოეული მათგანი შესდგება რამდენიმე პატარ-პატარა სოფლებისგან. მცხოვრებლები ყველა სვანები არიან, რომელთა საერთო რიცხვი უდრის დაახლოვებით 6,000—7,000 სულს. ლაპარაკობენ სვანურად და, მცირედი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველა ლაპარაკობს ქართულად.

ჩვენ ცოტ-ცოტათი შევჩერდით სამივე თემში და რამდენადაც შეგვეძლო გავიცანით ხალხის მდგომარეობას; ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვჩქარობდით, რადგანაც ჩვენი მოგზაურობის მთავარი მიზანი ზემო-სვანეთი იყო. რომ შემდეგ ალარ მომიხდეს ქვემო სვანეთზე ლაპარაკი, მოკლედ შევეხება მისი მდგომარეობის დახასიათებას. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ქვემო-სვანეთი მიკრულია ლეჩხუმის მაზრაზე და ადმინისტრატიულად, როგორც წინედ, ისე ეხლაც შედის ამ მაზრაში. ბატონყმური ჩაგვრის ბოლი აქ დღემდისაც არ გამქრალა. ქვემო სვანეთის სიმდიდრეს შეადგენს ტყე და ჯერ კიდევ გამოურკვეველი მადნეულობა, სახნავ-სათესი მიწები ნაკლებადაა;

მცხოვრებთ სარჩო არ ჰყოფნით. მოჰყავთ სიმინდი, პური და ქერი. სიმინდი კარგად ხარობს ლენტეხის თემში, ნაკლებად ჩოლურის და ლაშხეთის თემებში. ლენტეხის თემში კარგად ხარობს იზაბელას (ადესის) ჯიშის ვაზიც. გარდა ამისა გლეხობის ცხოვრების ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს მესაქონლეობა, უფრო მსხვილფეხა საქონელი— ხარი და ძროხა, უფრო ნაკლებად წვრილფეხა: ცხვარი და თხა. ლორების გაშენებასაც მისდევენ. მაგრამ არც მესაქონლეობას და არც მეურნეობის სხვა რომელიმე დარგს ამრეწველო ხასიათი არა აქვს. სასოფლო მეურნეობა ითქმის განსაკუთრებით შინაურ ანუ ოჯახურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, იშვიათად თუ გარედ გააქვთ გასაყიდათ. ქვემო სვანეთს შემოსავალს აძლევს ხე-ტყის დამუშავება. 1917 წლის რევოლიუციამდე აქ ხე-ტყის დიდი წარმოება ჰქონდა სერებრიაკოვს. მისი წყალობით დიდძალი ტყე იქნა გაჩეხილი და განადგურებული. სერებრიაკოვი აქედან გზავნიდა ხის მასალას საზღვარგარეთაც. ატყავებდა და ძარცვავდა ხალხს. ამჟამად ხე-ტყის დამუშავებას აწარმოებს აქ „ცნობილი" ივანოვი, რომელსაც აქვს ამიერ-კავკასიის რკინის გზის დავალება. ეს ის ივანოვია, რომელმაც რაჭის ტყეები გაანადგურა და ეხლა ქვემო სვანეთში ეწევა თავის მოღვაწეობას. მას ზემოხედველი არავინ ჰყავს, ჩეხავს განსაკუთრებით ახალგაზრდა ხეს. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გავლენა იქ არ ვრცელდება. ეს კიდევ არაფერი. ეს ივანოვი სრულებით არ სთვლის თავისთვის საჭიროდ დაიცვას შრომის კომისარიატის დეკრეტები და დადგენილებები შრომის დაცვის და ხელფასის შესახებ. ლენტეხში და ლაშხეთში მე გამიცხადეს, რომ ივანოვი ანგარიშს არ უწევს იმ გლეხებს, რომლებსაც იგი ამუშავებს, არ უსწორდება მათ

თავის დროზე, აცდევინებს 3-5 თვით და არ აწაზლაუ-
რებს მუშას, როცა იგი სახიჩრდება ან სრულებით იღუ-
პება მუშაობის დროს. საჭიროა სათანადო ორგანოებმა
მიიღონ შესაფერი ზომები, რათა ყველა ამ ბოროტმოქ-
მედებას როგორმე ბოლო მოეღოს [1]) ამ უკანასკნელ
წლამდე ქვემო სვანეთში არ იყო არც კოოპერატივი, არც
სასამართლო, არც საექიმო პუნქტი და არც აფთიაქი.
ცაგერიდან ქვემო სვანეთის უკანასკნელ თემამდე, ე. ი.
ლაშხეთამდე, არის არა ნაკლებ 50—55 ვერსისა. ამდენ
მანძილი უნდა გაევლო იმას, ვისაც სასამართლოში საქმე
ჰქონდა და ან ექიმი დასჭირდებოდა. საბედნიეროთ, ეს
მდგომარეობა დღეს მოსპობილია. ჩოლურის თემში უკვე
მოეწყო საექიმო პუნქტი აფთიაქით; პირველ ოქტომბრი-
დან იქვე იხსნება სასამართლო.

გარდა ამისა ზემო სვანეთის სამივე თემში გახსნი-
ლია კოოპერატიული დუქანი-სავაჭროები, რომლებიც ჯერ
კიდევ მეტად სუსტი და ღარიბია, მაგრამ რაც უნდა
იყოს, ამ ღარიბ დუქნებსაც საკმარისად დიდი მნიშვნე-
ლობა ექნება და დღესაც აქვთ, თუ საქმე არ გააფუჭეს
მათმა ხელმძღვანელებმა. სასკოლო საქმეც გამოკეთებულია,
სამივე თემში არსებობს ოთხწლედი და ახალი სამოსწა-
ვლო წლიდან ლაშხეთის თემში იხსნება პირველი შვიდ-
წლედიც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი მეტად მოწყუ-
რებულია სწავლას, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ყო-
ველგან, ყველა თემში ვისმენდი ათობით განცხადებებს
თუ სკოლის გაკეთების, თუ სწავლის გაგრძელების, ან
უმაღლეს სასწავლებელში მიღების შესახებ. ჩემი მდგო-
მარეობა მეტად უხერხული იყო, რადგანაც მთავრობას
არ შეუძლია ყველა ამის დაკმაყოფილება, იმავე დროს,

[1]) ეს ზომები უკვე მიღებულია.

რა უნდა უპასუხო სწავლას ასე მოწადინებულ ახალგაზრდობას. მას ვერ წარმოუდგენია, რომ მთავრობა ულლურია დღეს ყველა მსურველი დააკმაყოფილოს. ისინი მსჯელობენ ასე: მთავრობა თუ მოინდომებს, ის ყველაფერს გააკეთებსო.

ყოველივე ის, რაც მე ვნახე და გავიგონე ქვემო სვანეთში, აშკარად მოწმობს იმას, რომ ხალხში დიდი გარდატეხაა მომხდარი ამ უკანასკნელ დროს; ხალხი გამოღვიძებულია ხანგრძლივი ძილისაგან, მიმხვდარა და გაუგია საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობა, დარწმუნებულია იმაში, რომ დღევანდელი ხელისუფლება ზრუნავს ხალხისათვის. და ეს მოხდა იმიტომ, რომ დაპირებებს და სიტყვებს მთავრობის მხრით მოჰყვა საქმეც, თუმცა ჯერ-ჯერობით მცირე, მაგრამ ის, რაც ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა, შედარებით საკმარისად მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ. ამას, რა თქმა უნდა, ხალხი ხედავს და აფასებს. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ აუარებელი საქმეებია.

ავიღოთ თუნდაც ის, რომ ქვემო სვანეთს დღემდე არა აქვს არც ფოსტა-ტელეგრაფი და არც ტელეფონი. არის განზრახვა და დაპირება, რომ წელსვე, თუ ტელეგრაფი არა, ტელეფონი მაინც იქნება გაყვანილი ქვემოსვანეთშიაც. მაგრამ ეს კიდევ არაა ყველაზე უფრო ძირითადი და ყველაზე უფრო უსაჭიროესი მოთხოვნილება, რომელსაც დღეს ქვემო სვანეთი აყენებს. ეს არის **გზის საკითხი**. გზის საკითხი ყველა საკითხზე წინ დგას როგორც ქვემო, ისე ზემო სვანეთში. ამ საკითხის სიმწვავე თქვენ არა მარტო ზემო სვანეთში და არა მარტო ქვემო სვანეთში, არამედ თვით ლეჩხუმშიაც გხვდებათ. ლეჩხუმის მაზრის სოფლების დიდი უმრავლესობა განიცდის

დიდ გაჭირვებას უგზოობის გამო; აქაც არაა საურმე გზა, საავტომობილოს რომ თავი დავანებოთ, და რაც იყო ისიც წამხდარია. ამ რამოდენიმე წლის წინად ამხ. ქაჯაიას მეთაურობით ნიკორისძირიდან უცდიათ გზატკეცილის გაყვანა ცაგერამდე. მაგრამ ეს ცდა ჯერ-ჯერობით მარტო ცდად დარჩა. ამ მიმართულებით გზას დიდი მნიშვნელობა აქვს ორნაირად: 1) ის ამოკლებს მანძილს სამაზრო ცენტრიდან და 2) გაივლის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში. მაგრამ ის გაჭირვება უგზოობით, რასაც განიცდიან ლეჩხუმის სოფლები, მოსატანიც არაა იმ გაჭირვებასთან, რასაც ვანიცდის ქვემო სვანეთი ამ მხრით. როგორც ვამბობდით ზევით, ეს საკითხი დღეს ქვემო სვანეთში დგას მეტად მწვავედ, განსაკუთრებით ზემო სვანეთში გზის გაყვანასთან დაკავშირებით. ქვემო სვანეთის მცხოვრებლები ზიშობენ, რომ თუ ვინიცობაა, როგორც განზრახულია, ზემო სვანეთს გზა გაუკეთდა ზუგდიდის მაზრიდან (ჯვარი-მესტია), იმ შემთხვევაში ქვემო სვანეთი ისევ უგზოდ დარჩება დიდ ხანს, ამიტომ, როგორც ქვემო სვანეთი, ისე თვით ლეჩხუმის მაზრის დანარჩენი ნაწილი დიდათ დაინტერესებული არიან იმაში, რომ ზემო სვანეთის გზა გაყვანილ იქნას ლეჩხუმის მიმართულებით (ნიკორისძირი-ცაგერი ლაშხეთი). ამ საკითხს მე აქ არ შევეხები, რადგანაც ამაზე ქვევით მექნება ლაპარაკი. რაც შეეხება იმას, რომ ქვემო სვანეთს ესაჭიროება დღეს კარგი საურმე და საავტომობილო გზა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ამ გზას მნიშვნელობა ექნება მთელი რესპუბლიკისთვისაც არა მარტო იმ მხრით, რომ მას ადმინისტრატიული და კულტურული მნიშვნელობა ექნება, არამედ ეკონომიურადაც. დღეს უგზოობის გამო არამც თუ შეფერხებულია, არამედ შეიძლება ითქვას პირ-

დაპირ გაყინულია ერთ წერტილზე ქვემო სვანეთის სასოფლო მეურნეობის ისეთი დარგიც კი, როგორიც არის მესაქონლეობა, მეძროხეობა, მეფუტკრეობა. ყველა ამ დარგს აქ აქვს დიდი ნიადაგი. მე არ ვამბობ სატყეო მეურნეობის შესახებ, რასაც აქამდის მხოლოდ მტაცებლობითი ექსპლოატაციის ხასიათი აქვს; არ ვამბობ ქვემო სვანეთის მიხერალურ სიმდიდრეზე, სხვათა შორის, ლაშხეთის სამკურნალო წყლებზე; ყოველივე ეს უგზოობის გამო იკარგება, როგორც სვანებისათვის, ისე რესპუბლიკის დანარჩენ მცხოვრებლებისათვისაც.

ამით ვათავებ აქ ჩემ მოკლე შენიშვნებს ქვემო სვანეთის შესახებ და გადავდივარ ზემო სვანეთზე.

III

ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში გადასვლა ზაფხულობით ჩვეულებრივ ხდება **ლატფარის ულელტეხილით**. აქ არის შედარებით გვარიანი საცხენოსნო ბილიკი. ზამთარში ეს გზა სრულიად იხურება. ამ გზით ქვემო სვანეთიდან ზემო სვანეთში გადასვლას უნდა 6-7 საათი. 6 სექტემბერს ჩვენ გადავიარეთ ლატფარის ულელტეხილი ცხენებით და საღამოს 6 საათზე ჩავედით კალის თემში (სოფ. ლალხორში). მეორე დღეს აქ გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო კალის და უშგულის გლეხობა. ამავე დღეს (7 სექტემბერს) ჩვენ გავემგზავრეთ სოფ. **მესტიაში**, სადაც დღეს იმყოფება სამაზრო ცენტრი. ულვირის ულელტეხილზე, რომელიც იმყოფება კალასა და მესტიას შორის, ჩვენ დაგვიხვდა დიდი მიტინგი იფარის და მულახის თემების გლეხობისაგან. მესტიაში მივედით საღამოს 8 საათზე. მიტინგი გადაიდვა მეორე დღისათვის. ამ მიტინგზე მოწვეულ იყვნენ გლეხები სამი თემისაგან: სახელდობრ—**მესტია, ლეწჯერი და ლატალი**.

9 სექტემბერს ჩვენ განვაგრძეთ მოგზაურობა, გავიარეთ ლენჯერი, ლატალი ისე, რომ არ გავჩერებულვართ; ცოტათი შევჩერდით მხოლოდ ბეჩოში, სადაც წინეთ იმყოფებოდა სამაზრო ცენტრი და მივედით იმავე დღეს **ეცერის** თემში. წინდაწინ გამომუშავებული გეგმით ეს იყო უკანასკნელი პუნქტი ჩვენი მოგზაურობისა. ამიტომ აქ იყვნენ მოწვეული თითქმის ყველა დანარჩენ თემების მცხოვრებლები, სახელდობრ: **ეცერის, ცხუმარის, ფარის, ლახამულის, ლენხერის და ჩუბიხევის.**

10 სექტემბერს ჩვენ გამოვბრუნდით უკან, გამოვიარეთ ბეჩო, მესტია, კალა და 11-ს მივედით უშგულის თემში, რომელიც აღმოსავლეთის მხრით წარმოადგენს ზემო სვანეთის უკანასკნელ თემს. ამ თემს ზევიდან დაჰყურებენ მთა და ყინული **შხარი**, საიდანაც იწყება მდ. **ენგური**. უშგულის თემში საღამოთი გაიმართა მიტინგი.

12 სექტემბერს დილით ჩვენ გამოვედით უშგულის თემიდან, გადავიარეთ მთა ტვიბერი (ზაგარის ულელტეხილი), რომელიც ჰყოფს ენგურის და ცხენისწყალის აუზებს და სადაც ღებულობს დასაწყისს მდ. ცხენისწყალი; გავიარეთ პატარა და მეტად ღარიბი სოფელი ცენი, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გამოყოფილია უშგულის თემიდან; აქ კართოფილის მეტი სრულებით არაფერი მოდის. თუ ამ სოფლამდე კიდევ ვამჩნევდით ბილიკს, აქედან დაწყებული ამ ბილიკის კვალიც კი თითქმის აღარსად სჩანს. აქედან ჩვენ გავსწიეთ ლაფურისაკენ. ამ სახელწოდებით არის ცნობილი მდ. ზესხის (ცხენისწყლის ერთი შტოთაგანია) სამხრეთით მდებარე ადგილები, დაფარული ერთი მხრით შესანიშნავი ათასწლოვანი დაბურული ტყით, რომელსაც კაცის ხელი ჯერ თითქმის არ გაკარებია, და მეორე მხრით კიდევ უფრო შესანიშნავი

კაცზე უმაღლესი სათიბი თუ საძოვარი ბალახით, რომელიც ადამიანის მიერ ჯერ სრულებით გამოუყენებელია. საღამოს რვა საათზე ვაი-ვაგლახით ჩვენ გავჩერდით ერთ მინდორში, რომელსაც ხიდარი ეწოდება, და რომელსაც ყოველი მხრიდან ყინულიანი მთები არტყიან გარს. ღამე აქ გავათიეთ.

13-ს გათენებისას ამ ადგილიდან გავემგზავრეთ ერთი პატარა მდინარის რიყიანი გზით და თერთმეტ საათზე მივაღწიეთ **ვაცის წვერის** მთამდე, რომელიც გადავლახეთ დიდი გაჭირვებით. ამით ჩვენ დავსტოვეთ მდინარე ცხენისწყლის ხეობა (აუზი) და ჩვენს წინ გამოჩნდა სულ ახლო **ფასის** მთა, საიდანაც გამოდის მდ. **რიონი**. აქედან ჩვენ გადავეშვით უკვე რაჭის მაზრაში და 13 სექტემბერს, საღამოს ჩავედით სოფ. **ლებში**.

ამით დამთავრდა ეს ჩემი პირველი მოგზაურობა სვანეთში. ის გაგრძელდა 5-დან 13 სექტემბრამდე, სულ ქვემო და ზემო სვანეთში დავყავი ამრიგად 9 დღე. ვინახულე უმთავრესი პუნქტები, გავეცანი ხალხის ხასიათს, ზნეს, ჩვეულებას, ყოფა-ცხოვრებას, რამდენადაც ეს ამ მცირე ხნის განმავლობაში შეიძლებოდა. გარდა მიტინგებზე გამოსვლებისა და საუბრებისა ხალხთან, მოვისმინე და განვიხილე ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. მოგზაურობის დროს, 300-დე კერძო განცხადება, საჩივრები და შუამდგომლობები წერილობითი, თუ სიტყვიერი.

თვით სვანეთის ბუნებასთან გასაცნობად და მით უმეტეს მის შესასწავლად ჩვენ ალარ დაგვრჩენია დრო, და ეს არც შეადგენდა ჩვენ მიზანს. მიუხედავად ამისა უნდა ვსთქვათ აქ, რომ სვანეთის ბუნებამ საერთოდ და განსაკუთრებით უშგულიდან დაწყებული, ვიდრე ვაცის წვერამდე და აქედან სასვანეთო მთამდე, რომელიც მდე-

ბარეობს რაჭის მაზრაში, მდ. რიონის სათავეში, ჩემზე წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. განსაკუთრებით ეს ითქმის მდ. ცხენისწყლის სათავეების მიდამოების (მაგ., ზესხო' და ლაფური) შესახებ, სადაც იზრდება სამაგალითო ბალახი, სადაც კაცის სიმაღლე სათიბებია და ჯერ თითქმის ხელუხლებელი ტყეები ძვირფასი ხეებით. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჯერ სრულებით გამოუყენებელია ხალხის მიერ. მხოლოდ სულ მცირედი ნაწილი ამ თვალუწვდენელ მინდვრებისა და საძოვარ-სათიბებისა, განსაკუთრებით ვაცის წვერთან და სასვანეთო მთაზე გამოყენებულია რამდენიმედ, და ისიც ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსულ მეცხვარეების მიერ, რომელთაც გადმოყავთ აქ ზაფხულობით ცხვრის და თხის ჯოგები, დაახლოვებით თხუთმეტიდან ოცი ათას სულამდე. მაგრამ აქ შეიძლება თავისუფლად მოთავსდეს რამდენიმე ასი ათასი ცხვარი და სხვა საქონელი. ამ გარემოებას უნდა მიექცეს რაც შეიძლება მეტი ყურადღება, ვინაიდან ჩვენი მესაქონლეობა და განსაკუთრებით მეცხვარეობა განიცდის ამჟამად პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობას სწორედ საძოვრების და სათიბების უქონლობის გამო საქართველოს ფარგლებში, იმ დროს, როცა ყოველივე ეს სვანეთში ფუჭდება და ამაოდ იკარგება. ჩვენში წარმოდგენა არა აქვთ ყველა ამ სიმდიდრეზე. უნდა ვსთქვა აქ ის, რომ სვანეთში ჩვენი მოგზაურობის ყველაზე საძნელო და თანაც სახიფათო ნაწილი იყო სწორედ ამ ადგილებზე მოგზაურობა, და კიდევაც ყველა ჩვენგანს აქ დიდი გასაჭირი შეხვდა. მაგრამ ჩვენ ყველანი უზომოდ კმაყოფილნი დავრჩით იმით, რომ ეს ადგილები დავათვალიერეთ. ამ საერთო და ზოგადი შენიშვნების შემდეგ მე გადავდივარ სხვადასხვა უფრო საყურადღებო საკითხების გაშუქებაზე,

რომლებსაც ჩვენ გვიყენებს წინ სვანეთის დღევანდელი სინამდვილე.

სვანეთის ბუნება.

ამის შესახებ შეიძლება ვსთქვათ მოკლედ ასე; სვანეთის ბუნება მეტად მწირი და მკაცრია. ზამთარი გრძელდება 7-8 თვე. სიცივე აღწევს 15-18 გრადუსამდე; თოვლი დიდი იცის იმ ზომამდე, რომ არა თუ შეუძლებელი ხდება რაიმე კავშირის დაჭერა მეზობელ მაზრებთან, არამედ დიდი თოვლის გამო შეუძლებელი ხდება თვით სვანეთში სხვადასხვა თემებსა და სოფლებს შორის მიმოსვლა. ამ მხრივ ცოტაოდენი განსხვავება არის სვანეთის სხვადასხვა თემებს შორის, იმ თემებში და სოფლებში, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ მდებარეობენ, მდ. ინგურის სათავეებთან, როგორც მაგალითად კალი, ადიში, ქალდე, უშგული, ბუნება შედარებით მეტად მკაცრი და მწირია ნაყოფიერების მხრით. ამ ადგილებში მოდის მარტო ქერი და კართოფილი. ხშირად ქერის მომკასაც ვერ ასწრებენ, ისე ადრე იწყება სიცივე და ყინვები. მაგრამ რამდენადაც თქვენ მიიწევთ დასავლეთისაკენ, იმდენად ჰაერი ხდება თბილი, ნიადაგი უფრო კარგი; აქ უკვე ქერის და კართოფილის გარდა ხარობს პური, სიმინდი, ლობიო; მაგრამ მოსავალი ნაკლები მოდის და ისიც ნაკელის საშუალებით. რაც შეეხება ბოსტნეულობას და ხეხილს (მსხალი, ვაშლი), ყურძენს რომ თავი დავანებოთ, სვანეთში არც ერთი ეს არ მოდის. უნდა აღვნიშნოთ აქ ის, რომ სვანეთში თქვენ გხვდებათ, როგორც ტყე, ველური პანტა, მსხალი და თხილი, გარდა ამისა მარწყვი და მაყვალი.

სვანეთის ყველა თემებში თესავენ ჯანაფს, რომლიდანაც აკეთებენ თოკს; წინეთ ჯანაფიდან ქსოვდენ მატე-

რიასაც ოჯახში სახმარებლად, მაგრამ ეს ხელობა ეხლა თითქმის მოსპობილია.

როგორც ვიცით, მთელი სვანეთი განთქმულია მდიდარი და სხვადასხვა ჯიშის ტყეებით, როგორც, მაგ., ნაძვი, ფიჭვი, წაბლი, წიფელი, მუხა, თელა, ცაცხვი და სხვადასხვაგვარი ბუჩქნარი. სვანეთს აქვს შესანიშნავი საძოვრები და სათიბები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო აქ ის სათიბები და საძოვრები, რომლებიც მე თითონ ვნახე მოგზაურობის დროს, სახელდობრ ლატფარის მთაზე, უშგულის ირგვლივ, ზაგიარის მთა, ცხენის წყლის სათავეებთან, ლაფური, სასვანეთო მთა და სხვა. ამ ადგილებში, ცოტა რომ ვსთქვათ, ასი ათას დესეტინაზე მეტი საძოვარი და სათიბები იქნება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას და რაც დღემდის სრულებით გამოუყენებელია.

სვანეთის სიმდიდრეს შეადგენენ აგრეთვე წყლები, როგორც მდინარეები, ისე წყაროები, რომლებშიაც ბევრი მინერალური და სამკურნალოა. ამ უკანასკნელთა ღირსება და თვისება ჯერ გამორკვეული არაა. ასევე უნდა ითქვას მადნებზე. აქ არის აზბესტის, სურმის, ტყვიის, შიფერის მთელი მთები, ვერცხლს და ოქროს რომ თავი დავანებოთ. ყოველივე ეს არა თუ გამოუყენებელია, არამედ დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია მათი გამოყენება-დამუშავება.

ნათქვამიდან აშკარაა, რომ სვანეთის ბუნება (შესანიშნავი საძოვრები და სათიბები) ძლიერ უწყობს ხელს **მესაქონლეობას**. მართლაც სვანების ერთ უმთავრეს წყაროს ცხოვრებისათვის შეადგენს მესაქონლეობა, განსაკუთრებით მსხვილფეხა საქონელი (ხარი და ძროხა), უფრო ნაკლებად თხა და ცხვარი. და უნდა ითქვას, რომ ხარე-

ბი და ძროხები სვანეთში საუკეთესო ჯიშისაა. მაგრამ როგორც მესაქონლეობა საერთოდ, ისე კერძოდ მერძეობა აქამდის ისეთ პირობებში იყო უგზოობის გამო, რომ იმათ არ შეეძლოთ განვითარება. გზის გაყვანა სვანეთში, რაც მისცემს შესაძლებლობას სვანებს მესაქონლეობის ნაწარმოების გასატანად ბაზარზე, გახდება უძლიერეს ფაქტორად იქ მეურნეობის ამ დარგის ასაყვავებლად.

დიდი მომავალი აქვს სვანეთში აგრეთვე როგორც **სამთამადნო, ისე საკურორტო** საქმის განვითარებას. ამავე დროს არსად არაა ისეთი ხელსაყრელი ნიადაგი **ელექტროფიკაციისათვის,** როგორც სვანეთში: აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე სულ ადვილად შეიძლება ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოწყობა. ერთი სიტყვით, სვანეთის ბუნების სულ ზერელე შესწავლა საშუალებას გვაძლევს ჩვენ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიწის დამუშავებას, საერთოდ მიწათმოქმედებას, რომელსაც სვანეთში ნაკლები ხელსაყრელი პირობები აქვს უმთავრესად ცივი ჰავის გამო, აქ ჩვენ გვაქვს უდიდესი შესაძლებლობანი მესაქონლეობის, სამთა-მადნო და საკურორტო საქმის განვითარებისათვის. აუცილებლად საჭიროა მხოლოდ, რომ სვანეთი რაც შეიძლება ჩქარა იქნეს დაკავშირებული საქართველოს ცენტრებთან გზატკეცილით.

სვანეთის ხალხი.

როგორც ქვემო, ისე ზემო სვანეთში სცხოვრობენ მხოლოდ სვანები. სვანებს გარეგნობით ვერ გაარჩევთ საერთოდ ქართველებიდან, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს მკვიდრთაგან, ან განირჩევიან იმდე-

ნად, რამდენადაც მაგ. გურული ან მეგრელი განირჩევა იმერლიდან ან ლეჩხუმელიდან. რომ სვანები შეადგენენ ქართველი ხალხის ერთ უძველეს შტოს, ამისათვის მაინც და მაინც დიდი მეცნიერული კვლევა-ძიება არაა საჭირო. უძველეს დროში, სანამ სვანები დაბინავდებოდენ იქ, სადაც ისინი დღეს სცხოვრობენ, იმათ განიცადეს სხვადასხვაგვარი ეთნიური ზეგავლენა, რის კვალი დღემდისაც ცოცხალია. სვანები რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში დახშულად და კარჩაკეტილათ სცხოვრობდენ. იმათ შეინარჩუნეს საკუთარი ენა, მაგრამ მიუზედავათ ამისა, სვანებსა და დანარჩენ ქართველებს შორის ნათესაური კავშირის გრძნობა მუდამ ძლიერი იყო. ამას მოწმობს მთელი წარსული ისტორია, ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ როგორც სვანებს, ისე ლეჩხუმლებს და რაჭველებს ერთნაირი გვარები და სახელები აქვთ, მცირედი გამონაკლისის გარდა. მეტია აქ ლაპარაკი იმაზე, რომ კულტურულად სვანები მხოლოდ ქართველებთან არიან დაკავშირებული და ქართულ ენას ისინი, როგორც წინედ, ისე მით უმეტეს ეხლა, თავის მეორე დედა ენად სთვლიან და უმეტესობა იმათი მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულად. ამიტომ სვანურ სკოლებში ყოველგან ქართულ ენაზე სწარმოებს სწავლება.

ამჟამად სვანების **საერთო რიცხვი** სისწორით ცნობილი არაა, მხოლოდ დაახლოვებით ვიცით ეს რიცხვი. ასე, ქვემო სვანეთში არის 6.000-7.000 **სული** ორივე სქესისა; **ხოლო ზემო** სვანეთში 15.000-16.000. ამგვარად სვანების საერთო რიცხვი დღეს აღწევს დაახლოვებით 22.000 მდე. ძველი ცნობის მიხედვით სვანები ბევრად ამაზე მეტი ყოფილან. მაშასადამე, გამრავლების მაგიერ კიდევ უფრო შემცირებულან. აშკარაა, არის მი-

ზეზები ანუ მთელი რიგი მიზეზებისა, რომლებიც სვანებს ამოწყვეტით ემუქრებიან, თუ ეს მიზეზები არ იქნენ თავიდან აშორებული. რა თქმა უნდა, სვანები თავისი საკუთარი ძალებით ამ მიზეზებს თავიდან ვერ აიცილებენ. ამ საქმეს უნდა მოკიდოს ხელი უმაღლესმა მთავრობამ. ამის მიზეზი მარტო სიღარიბე არაა. არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც სვანების გამრავლებას წინ ეღობებიან. ავიღოთ მაგ. სვანური სახლები, რომლებიც ხალხს ასნეულებენ, უჩენენ ათასგვარ ავადმყოფობას. სვანურ სახლში ადამიანები და პიროუტყვი ერთად ცხოვრობენ; სახლებს არა აქვთ ფანჯრები, არა აქვთ ბუხრები. აქ შეუძლებელია რაიმე სისუფთავის დაცვა. შემდეგ სვანი უმეტეს ნაწილად მუდამ მშიერია, მას მოსავალი არ ყოფნის, ძლივს სამი თვის სამყოფი თუ მოუვა, ან ექვსი თვის. იგი იძულებული ხდება ზურგით ზიდოს ფუთობით საზრდო ლეჩხუმიდან ან ზუგდიდის მაზრიდან. ბევრი იმათგანი იღუპება გზაში. სვანური ოჯახი კი ამ დროს შიმშილს განიცდის. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ იყო წინანდელ დროში სვანების გამოკვების საქმე, მაგრამ, რომ ამ მხრით ცუდი მდგომარეობაა დღეს, ეს უეჭვოა.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხალხის გამრავლებაზე უარყოფითად მოქმედობს. მე ვამბობ **შურიხძიებაზე ანუ ხისხლის აღებაზე**. ეს განმანადგურებელი ჩვეულება სვანებში დღემდისაც ძლიერია. მართალია ამ უკანასკნელ დროს ამის წინააღმდეგ უკვე ისმის ხალხის აღშფოთება და პროტესტები. ასე, მაგ. მიტინგებზე ხალხი ბევრგან ითხოვდა იმათ სასტიკად დასჯას, ვინც სისხლის აღების ნიადაგზე კაცის მკვლელობას ჩადის, და გამოთქვამენ სამართლიან საყვედურს იმის გამო, რომ კაცის მკვლელები დაუსჯელად იმყოფებიან. რა თქმა

უნდა, რომ სისხლის აღება მოვსპოთ, აუცილებლად საჭიროა სხვა კულტურულ ზომებთან ერთად ეს დანაშაული სასტიკად ისჯებოდეს, და ამ მხრით სათანადო ზომები მიღებული იქნება. მაგრამ ეს ეკუთვნის მომავალს; ხოლო წარსულში სისხლის აღება ანადგურებდა სვანებს, და ესეც ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ხალხის რაოდენობის ზრდა შეჩერდა და ამ რაოდენობამ იკლო. იშვიათად ნახავთ სვანეთში ოჯახს, დედას, მამას, და ას, რომ მას მახლობელი ნათესავი არ ყავდეს მოკლული შურისძიების ნიადაგზე. ჩემი იქ ყოფნის წინ რამდენიმე შემთხვევას ქონდა ადგილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ჩვეულებას მისდევენ ერთნაირად როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცებიც. ჩემი იქ ყოფნის დროს ერთ-ერთ მიტინგზე ერთმა დედაკაცმა შურისძიების ნიადაგზე სცემა მეორე დედაკაცს, რომელიც მას მიტინგზე შეხვდა. ეს იყო სწორეთ იმ დროს, როცა მე იქ ვლაპარაკობდი სისხლის აღების ყოვლად უაზრობაზე და მასთან მის განმანადგურებელ შედეგებზე ხალხისათვის.

საბედნიეროთ უნდა ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელ დროს დანაშაულის ჩადენამ სისხლის აღების ნიადაგზე შესამჩნევად იკლო. შეიძლება ითქვას, რომ, თითო-ოროლა შემთხვევის გამოკლებით, ასეთ დანაშაულს უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილი ალარ ჰქონებია. თვით სვანებიც გრძნობენ დღეს ამ ჩვეულების უაზრობას და თხოულობენ მთავრობის მხრით ენერგიულ ბრძოლას მის წინააღმდეგ. ეს მეტად საღ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სვანების ცხოვრებაში.

სვანები მეტათ ნიჭიერი ხალხია. ამაში მე კიდევ უფრო დავრწმუნდი სვანეთში ყოფნის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სვანები სწავლა-განათლებას მოკლებული

არიან, ბუნებით ისეთ დინჯ, გონიერ და დარბაისელ ხალხს თქვენ იშვიათად თუ სადმე იპოვნით. ისეთი ზრდილობიანობა და შეხვედრა მე იშვიათად თუ სადმე მინახავს. სად და როგორ ისწავლეს სვანებმა ასეთი მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი? მე მუდამ ვეკითხებოდი და ვეკითხები თავის თავს. ეს პირდაპირ გასაოცარია. მე ვამბობ, რომ ბუნებით ისეთ მჭევრმეტყველ ხალხს, როგორიც მე სვანეთში ვნახე, თითქმის ყველა თემში, როგორც თავისუფალ სვანეთში, ისე ყოფილ სადადიშქელიანო სვანეთში, მე სხვა ადგილას არ შევხვედრივარ. უნდა თქვენ თითონ მოისმინოთ სვანების დალაგებული ლოგიკური მსჯელობა, რაც ბუნებრივად სჩქეფს იმათ პირიდან, როგორც შადრევანი აუზიდან. რით აიხსნება ეს, თუ არა მათი ბუნებრივი ნიჭით. მამაკაცებს არც დედაკაცები ჩამორჩებიან. სწორედ მოგახსენოთ, სანამ სვანეთში მე ჩემი თვალით არ ვინახულე სვანი-ქალები, მე მათზე მეტად შემცდარი წარმოდგენა მქონდა. თუ მანამდე მე ვფიქრობდი, რომ სვანი-მამაკაცები თავისუფლების მოყვარული არიან, თუ წარსულმა მონობამ ისინი საბოლოოდ ვერ გასტეხა წელში, სვან-დედაკაცებზე მე სრულებით სხვა აზრის ვიყავი. მე წარმოდგენილი მყვანდენ ისინი თავჩაღუნული, რაც მათი დამონება-დაჩაგვრის ნიშანი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი, ჩემდა სასიხარულოდ, სულ სხვა აღმოჩნდა. მართალია, კაცებთან შედარებით ქალები სვანეთში უფრო მეტ შრომას ეწევიან, მაგრამ სამაგიეროდ სვანი-დედაკაცები ისევე თავისუფლად, ისევე თავმომწონედ გრძნობენ თავს, როგორც მამაკაცები. ამას პირველი შეხედვითაც შეამჩნევთ, ისინი მამაკაცებთან ერთად თანასწორად იღებენ მონაწილეობას როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენ ხედავთ,

რომ დედაკაცები არ არიან მამაკაცების მიერ დაჩაგრული. მე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, გლეხ-დედაკაცებზე, რომლებსაც მე იქ ვხედავდი. ქალები გამოდიოდნენ მიტინგებზე ისევე თავისუფლად, როგორც მამაკაცები და ლაპარაკობდენ ისევე მშვერმეტყველურად, როგორც მამაკაცები. ერთ თემში (ეცერში) ჩემთან მოვიდა განსაკუთრებული დელეგაცია ქალებისაგან შემდგარი და მასთან მე დიდი კამათის გაწევაც მომიხდა. მე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ცეკვა-თამაშის და სიმღერის დროს, რაც მე იქ ვნახე, სვანი ქალები პირველ როლს თამაშობდენ ვირემ მამაკაცები. ეს მოწმობს იმას, რომ სვან ქალებსაც შეუნარჩუნებიათ ადამიანურ უფლებათა ღრმა გრძნობა, თავისი ადამიანური ღირსების დაცვა, სიყვარული თავისუფლებისადმი. ეს თავდებია მათი სრული გათანასწორებისა მამაკაცებთან უფლების მხრივ. მართალია, უნდა ვსთქვათ, რომ ამის გვერდით ჩვენ დღემდის ვხედავთ სვანების ცხოვრებაში სვან-ქალებისათვის დამამცირებელ ზნე-ჩვეულებებს, როგორც მაგ., ახალგაზრდა ქალის ქმარზე გათხოვების საქმეში. ამ ჩვეულების მიხედვით, ქალს ჰყიდის დედ-მამა, ე. ი. ღებულობს მასში სასყიდელს და ქალს აიძულებს გაჰყვეს ქმარს თავისი სურვილის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, ეს ბარბაროსული ჩვეულება დღეს იწვევს უკვე აღშფოთებას და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ის სრულებით გაქრება.

IV

ყველაზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს **სვანეთის დღევანდელი ახალგაზრდობა.** შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ ახალგაზრდობაში დღეს სერიოზული და ღრმა ცვლილებაა მომხდარი. ეს ახალგაზრ-

დობა უკვე ბედავს და გრძნობს, რომ ძველებურად ცხოვრება მას უკვე აღარ შეუძლია. იგი მიისწრაფვის წინ, სწავლა-განათლებისაკენ; მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ბევრი დაბრკოლება ხვდება მას წინ. ჯერ ერთი ის, რომ სიღარიბე მას ამის საშუალებას არ აძლევს; მეორე მხრით, არც მთავრობას იქვს შეძლება მთელი ეს ახალგაზრდობა დააკმაყოფილოს მით, რომ ყველას მისცეს შეძლება სწავლის მიღებისა თუ გაგრძელებისა უმაღლეს სასწავლებელში. აქაა სვანეთის ახალგაზრდობის ტრაგედია, და განა მარტო სვანეთის! ეს ტრაგედია ორკეცდება კიდევ იმით, რომ ამ სწავლისათვის მოწყურებულ ახალგაზრდობას, რომელსაც ავრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირში შესვლა სურს, არა ჰყავს შესაფერი ხელმძღვანელი. აქ ჩვენ დიდი საშიშროება გვაქვს წინ იმ მხრით, რომ თუ დროზე ვერ ვუშველეთ ამ ახალგაზრდობას, იგი გულს აიცრუებს ყველაფერზე ან მრუდე გზით დაიწყებს სიარულს. ორივე ამ საშიშროებას ჩვენ უნდა შევებრძოლოთ, რათა სვანეთის ახალგაზრდობა ვიხსნათ მისგან. არ უნდა იქნეს დავიწყებული ის გარემოება, რომ სვანი მხოლოდ ეხლა ილვიძებს საუკუნოებრივი ძილისაგან, რომ იგი მხოლოდ ეხლა ეწაფება სწავლა-განათლებას და საერთოდ იგი მხოლოდ ეხლა იწყებს კულტურულ ცხოვრებას. ერთმა სოფლის მასწავლებელმა ლატალის თემში, რომელიც წინად საქართველოს სხვადასხვა სოფლებში ყოფილა მასწავლებლად და რომელსაც ამ მხრით დიდი გამოცდილებაც აქვს, გადმომცა, რომ სვანი-ბავშვი შესანიშნავ ნიჭს იჩენსო. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ სვანები ნიჭიერი ხალხია და მათ კარგი მომავალი აქვთ.

მეტად საგულისხმიეროა ამ მხრივ შემდეგი გარემოება: როგორც ვიცით, სვანები თვით ბუნებრივ პირო-

ბების მეოხებით ყველასაგან მოწყვეტილნი არიან და მასთან მეტად ჩამორჩენილი, და ისინი აქამდე საგვარეულო წესწყობილებას ვერ გასცილებიან. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ხალხი ზურგს შეაქცევდა ყოველივე ცვლილების შეტანას თავის ყოფა-ცხოვრებაში და ზნე-ჩვეულებებში. ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ იგი ეჭვის თვალით შეხედავდა ყოველივე ასეთ ცდას. სინამდვილეში კი ჩვენ სრულებით სხვას ვხედავთ. სვანები გასაოცარი მონდომებით და ნდობითაც ეტანებიან ყოველივე ახალს. სწავლა-განათლების და სკოლების შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა დიდი სურვილი აქვთ მათ დღეს ამ მხრით. ასევე უნდა ვსთქვათ მკურნალობის შესახებ; როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები არა თუ არ გაურბიან ექიმებს, და ნასწავლ ბებია-ქალებს, არამედ დიდი მოწადინებით მიდიან მათთან. და ეს სულ ერთი წლის საქმეა. წინად ექიმი სვანეთში მხოლოდ სახელად იყო. ეხლა მარტო ზემო სვანეთში ორი საავადმყოფოა მწოლიარე ავადმყოფებისათვის და გარდა ამისა კიდევ ორი საექიმო პუნქტი. ორივე საავადმყოფო გავსილი იყო ორივე სქესის ავადმყოფებით, მათ შორის უმეტესობა ქირურგიული ავადმყოფები იყვნენ, რომელთაც გაკეთებული ჰქონდათ სერიოზული ოპერაციები—ყველას კარგად. რამდენადაც მე საშუალება მქონდა გამეგო ადგილობრივ დათვალიერების დროს, არ ყოფილა თითქმის არც ერთი შემთხვევა, როცა სვანები უნდობლობით მოქცეოდნენ ექიმებს. ჩვენი ექიმები, უნდა ითქვას ეს იმათ სასახელოდ, თითქმის ყველანი დიდი მონდომებით და ენერგიით ეწევიან თავის სამსახურს სვანეთში. და თავისი ცოდნით პირდაპირ აოცებენ სვანებს. სხვათა შორის ისინი ჩიყვიანებს ანთავისუფლებენ ჩიყვიდან,—ეს არის სპე-

ციფიური სვანური სენი, რომელსაც განსაკუთრებით მხოლოდ სვანეთში აქვს ადგილი.

აღსანიშნავია აქვე ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში სვანებს აქ-იქ მიუყვიათ ხელი თავიანთ სვანურ სახლების გადასაკეთებლად ევროპიულ ყაიდაზე. მართალია, ცვლილება ამ მხრით ჯერჯერობით უმნიშვნელოა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე წლის საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ეს მეტად კარგი მაჩვენებელია.

ყოველივე ზევით ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ სვანები არა თუ არ გაურბიან ცვლილების შეტანას თავის ცხოვრებაში, არამედ სიხარულით ეგებებიან ყოველივე ახალს, თუ ამის სარგებლობაში ოდნავაც არის მაინც დარწმუნდენ.

3. სვანეთის „გზები".

გზების საკითხი ყველაზე უფრო საყურადღებო და ყველაზე უფრო მეტად მწვავე საკითხია სვანეთისათვის გზა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სვანეთში არ არსებობს. როცა სვანეთის გზებზე ლაპარაკობთ, საჭიროა დაივიწყოთ თითქმის ყოველივე ის, რაც საზოგადოთ ახასიათებს გზას. სვანური გზა—ეს სრულიად სხვა რამეა. გაჭირვებულმა ცხოვრებამ ათასოვან წლების განმავლობაში დააჩვია სვანი ისეთ ადგილებზე სიარულს, რაც ეჩვეულო ადამიანისათვის ყოვლად წარმოუდგენელია. ცხოვრების მკაცრი პირობები იძულებულ ყოფენ სვანს გადალახოს მან უზარმაზარი ქედები ზამთარ-ზაფხულ, და კიდევაც მრავალი სვანი ხდება მსხვერპლი ასეთი მოგზაურობის, განსაკუთრებით ზამთარში.

სვანეთში ყოფნის დროს მე დავრწმუნდი იმაში, რომ სვანს თითქმის ყოველგან შეუძლიან გადალახოს უმაღლესი

მთები როგორც ჩრდილოეთისაკენ, ისე სამხრეთისაკენ. ასე რომ კავკასიონის უმთავრეს მთაგრეხილს სვანები გადადიან, რა თქმა უნდა, ფეხით შვიდ ადგილას და გადაყავ-გადმოყავთ საქონელიც, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულობით. ამდენივე და კიდევ მეტი გადმოსავალია ზემო სვანეთიდან ქვემო სვანეთში, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში. მაგრამ ვაი იმისთანა გადასვლას და გადმოსვლას. ესაა ნამდვილი ტანჯვა და წვალება და მასთან უზომოდ ხარჯვა ადამიანის ძალის და ენერგიის.

სვანეთის გზებში უნდა ცალკე გამოვყოთ ორი გზა ანუ ორი საცხენოსნო და საქვეითო ბილიკი: ერთი ჯვარის მიმართულებით, რომელიც ზემო სვანეთს აკავშირებს ზუგდიდის მაზრასთან; მისი სიგრძე დაახლოვებით სოფ. ჯვარიდან მესტიამდე 120 ვერსი იქნება. ამ გზის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ზაფხულობით, როცა ლატფარის ულელტეხილი გახსნილია, ყველანი უპირატესობას ლატფარის გადასავალს ანიჭებენ. მეც ასე მირჩია ყველამ, როცა სვანეთში მივემგზავრებოდი. მაგრამ როცა ზამთარში ლატფარის ულელტეხილი იხურება თოვლის გამო, მაშინ ჯვარის გზა უმთავრეს, თუმცა არა ერთადერთ, დამაკავშირებელ საშუალებად რჩება ზემო სვანეთისა და ისიც ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილის ანუ ყოფილი სადადიშქელიანო სვანეთისათვის. ზემო სვანეთის აღმოსავლეთის ნაწილი ანუ ყოფილი თავისუფალი სვანეთი, იშვიათად თუ ამ გზით სარგებლობს ზამთრობითაც. ზემო სვანეთის ეს ნაწილი ზამთარში უპირატესობას აძლევს სხვა მიმართულებით სიარულს. ერთი ასეთი მიმართულება არის კალის თემიდან ქვემო სვანეთში მუშურის მთის მწვერვალებზე. საქმე იმაშია, რომ ამ მწვერვალებზე ქარის გამო თოვლი ვერ ჩერდება, და აი გაჭირვებული

სვანი სარგებლობს ამ გარემოებით მიმოსვლისათვის, მაგრამ ეს მეტად სახიფათოა და ხშირად უბედურებით თავდება მგზავრისათვის, მეტადრე თუ მას მოასწრო ამ მწვერვალზე ავდარმა, ქარბუქმა, თოვლმა და სხვ. ამ დროს მგზავრი ვარდება ხრამში და იღუპება. მეორე მიმართულებაა უშგულის თემიდან ზაგარის უღელტეხილით და შემდეგ მდ. ცხენის წყალის ხეობით, სწორეთ იმ გზით, რომლითაც მე მომიხდა ზემო სვანეთიდან უკან დაბრუნება. მაგრამ აქ მოდის მაღალი თოვლი, მგზავრები კარგავენ მიმართულებას და იღუპებიან. უბედურების თავიდან ასაცილებლად და მიმართულების გამოსაცნობად— ზაფხულში სვანები მიწაში ასობენ ხეებს. ასეთი სვეტები ჩვენ ბევრი შეგვხვდა ჩვენი მოგზაურობის დროს.

ზემო სვანეთში გადასავალი მეორე საცხენოსნო გზა არის ლატფარის უღელტეხილი, რომლითაც მე გადავედი იქ და რომელიც მე არა ერთჯერ მაქვს მოხსენებული ამ წერილში. ზაფხულობით ეს გზა ზემო სვანეთში სამოგზაუროდ ყველაზე უფრო კარგ გზად უნდა ჩაითვალოს; ის ბევრად უმჯობესია იმ გზაზედაც, რომელიც ჯვარის მიმართულებით არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზამთრობით ლატფარის უღელტეხილი გადაუვალია.

ასეთია დაახლოვებით სვანეთის გზები. მაგრამ იმისთვის, რომ ამ გზებზე ცოტად თუ ბევრად სწორი წარმოდგენა იქონიოს ადამიანმა, საჭიროა ადგილობრივ იმათი გაცნობა. თუ ზაფხულობით სვანეთთან რამოდენიმედ მაინც შესაძლებელია მიმოსვლა და კავშირის დაკავება, ზამთრობით მასთან თითქმის ყოველგვარი მიმოსვლა და კავშირი შეუძლებელია, ზამთარი კი იქ გრძელდება 7—8 თვე, და ამ ხნის განმავლობაში ეს მხარე პირდაპირ მოწყვეტილია ჩვენგან. ეს მოწყვეტილობა ორკეცდება კიდევ

იმ გარემოებითაც, რომ სვანეთში, არც ზემო და არც ქვემოში, არაა არც ტელეგრაფი *) და არც ტელეფონი.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება მომავალში სვანეთის ხალხისათვის შეუძლებელი იქნება. ყველა სვანი დიდიდან პატარამდე ამას გრძნობს. თუ სვანეთის მოწყვეტილობას, ე. ი. მის უგზოობას რამე არ ეშველა, ისე სვანებს სიცოცხლე აღარ შეეძლებათ.

აშკარაა, რომ სვანეთში გზა აუცილებლად უნდა იქნას გაყვანილი, ისეთი გზა, რომელიც ზამთარ-ზაფხულ შესაძლებლად გახდის სვანეთში მიმოსვლას, სვანეთთან კავშირს, რომელიც უზრუნველყოფს სვანეთში არა თუ ურმის და ეტლის, არამედ ავტომობილის სიარულსაც. ასეთი გზა გამოიყვანს სვანეთის ხალხს პირველყოფილ მდგომარეობიდან და წაუძღვება მას წარმატებისა და განვითარებისაკენ. მაგრამ ამისათვის დიდი საღსარი, დიდი თანხაა საჭირო. საქართველოს მთავრობას უკვე გადაწყვეტილი აქვს ამ გზის გაყვანა რაც შეიძლება ახლო მომავალში, რისთვისაც უკვე ჯვარის მიმართულებით გამოკვლევა სწარმოებს. ეს გამოკვლევა ჯერ დამთავრებული არაა და, მაშასადამე, ჯერ შეუძლებელია სისწორით იმისი თქმა, თუ რა ვადაში დასრულდება მისი გაკეთება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ზამთარში ეს საკითხი სავსებით გამოირკვევა, და მომავალ გაზაფხულიდან შესაძლებელი იქნება სვანეთის გზის კეთება დაწყებულ იქნას.

მაგრამ სვანეთის გზის ამ პროექტის გვერდით არსებობს კიდევ მეორე პროექტი ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მიმართულებითაც, და ამ ნიადაგზე თვით სვანეთის ხალხში ერთგვარი უთანხმოება არსებობს. მდგო-

*) მხოლოდ ამ შემოდგომიდან დაწყებულია ტელეგრაფის გაყვანა ჯვარიდან მესტიამდე.

მარეობა ასეთია: ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი (დაახლოვებით 7 თემი: ლატალი, ლენტეხი, მესტია, ფარი, მულახი, კალი და უშგული) და მთელი ქვემო სვანეთი დაინტერესებული არიან, რომ ზემო სვანეთის გზა გაკეთდეს ლეჩხუმის მაზრის მხრით. ხოლო ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილისათვის უფრო ხელსაყრელია გზის გაკეთება ჯვარის მიმართულებით. ორივე მიმართულების როგორც სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ ბევრის თქმა შეიძლება ჩვენ ვიცით, რომ ზემო სვანეთის აღმოს. ნაწილის დასამხარი, ქვემო სვანეთს რომ თავი დავანებოთ, ლეჩხუმისაკენ არის; ამ ნაწილს კულტურული და ეკონომიური კავშირი ლეჩხუმთან და შემდეგ მისი მეშვეობით ქუთაისთან აქვს. წარსულშიაც ასეთი კავშირი ყოფილა. გარდა ამისა ამ მიმართულებით გზის გაყვანა დააკავშირებს ერთმანეთთან ზემო და ქვემო სვანეთს. მაგრამ, როგორც მცოდნე პირები ამტკიცებენ, ამ მიმართულებით ზემო სვანეთის გზის გაყვანას მრავალი ტექნიკური დაბრკოლება ეღობება წინ. უმთავრესი დაბრკოლებათაგანი მდგომარეობს იმაში, რომ კიდეც ამ მიმართულებით გაკეთდეს ეს გზა—სულ ერთია, ზამთრობით დიდი თოვლიანობის გამო ის გამოუყენებელი დარჩება.

ამ გზით სარგებლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გაითხრება გვირაბი (ტონელი) ჩოლურის და კალის თემებს შუა იქ, სადაც იმათ ჰყოფს ღურის მთა და სადაც ამ მთას შედარებით ვიწრო ყელი აქვს. თავის თავად იგულისხმება, რომ გვირაბის გაჭრას მოუნდება დიდი თანხაც და დიდი ვადაც; ყოველ შემთხვევაში, რათა ამ მეტად დიდი საკითხის გადაჭრის დროს დაცულ იქნას სამართლიანობა, მთავრობის განკარგულებით სვანეთში კიდევ გაიგზავნა ინჟინრებისაგან

შემდგარი კომისია განასკუთრებით იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება დასახელებულ ადგილას გვირაბის გაჭრა, და დაახლოვებით რა თანახი და რა ვადა იქნება საჭირო ამის განსახორციელებლად.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ გზა საჭიროა ორივე მიმართულებით, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ დღეს ჩვენი მთავრობისათვის ერთი მიმართულებითაც კი სვანეთში გზის გაკეთება მეტად დიდ გასაჭირს წარმოადგენს, არა თუ ორი მიმართულებით. ყველა გარემოებათა გამორკვევის და აწონ-დაწონის შემდეგ, მთავრობა აირჩევს იმ მიმართულებას, რომელიც შედარებით უფრო მისაღები იქნება როგორც ტეხნიკურად, ისე ფინანსიურად, და მასთან მთელი სვანეთის სარგებლობის მიხედვით. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ სვანეთმა ახლო მომავალში ჩვენ უნდა მოგვცეს დიდძალი ნედლი მასალა (ხე-ტყე, საქონელი, მადნეულობა) გასატანად, და ამიტომ აშკარაა, რომ ის უნდა დაუახლოვდეს შავიზღვის სანაპირო რკინის გზას, რომელიც უკვე კეთდება.

ამავე დროს აუცილებლათ საჭიროა, რომ ქვემო სვანეთის გზაც იმდენად შეკეთდეს, რომ იქ ურემს და ეტლს თავისუფლათ შეეძლოთ სიარული როგორც ზაფხულში ისე ზამთარშიაც. ასე სდგას ამჟამად სვანეთის გზის გაყვანის საკითხი. მე აღვნიშნე ის უთანხმოება, რომელიც არსებობს დღეს ამ საკითხის ირგვლივ სვანეთის სხვადასხვა ნაწილებს შორის. სრულიად ბუნებრივია ის, რომ ერთი ნაწილისათვის გზა უფრო ჯვარის მიმართულებითაა დასამხარი, მეორე ნაწილისათვის კი ლეჩხუმის მიმართულებით. ეს ჩვენ კარგად გვესმის, მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში მთავრობა, რომელსაც ამ ახლო მომავალში მხოლოდ ერთი მიმა-

რთულებით თუ შეეძლება გზის გაყვანა. სვანეთის ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მთავრობა სვანეთის არც ერთ კუთხეს ანუ ნაწილს არ ემხრობა და უპირატესობას არ აძლევს, რომ იგი ხელმძღვანელობს საერთოდ მთელი სვანეთის ხალხის ინტერესებით, და გზის გაყვანის საქმეშიაც უპირველეს ყოვლისა ეს საერთო ინტერესები იქნებიან მხედველობაში მიღებული. მასთან გზის გაყვანას, სულ ერთია რომელი ბიმართულებითაც ეს არ იქნ ბა, მთავრობა შესძლებს თვით სვანეთის ხალხის ახლო და მხურვალე მონაწილეობით. ამის სურვილი არა ერთხელ გამოუთქვამთ სვანებს; გამოთქვეს ეს ჩემი იქ ყოფნის დროსაც. ვიმეორებ, სვანეთისათვის გზის გაკეთება დგას ყველა საქმეზე წინ. ამ საქმის გარეშე საფუძვლიანათ იქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება. რა საქმის მდგომარეობაზედაც არ უნდა დაიწყოთ ლაპარაკი, იქნება ეს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება, იქნება ეს კულტურული თუ საეკონომო საქმის მოწესრიგება, იქნება ეს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება და სხვა და სხვა, —ყოველივე ეს ებჯინება უკანასკნელი ანგარიშის დროს გზის საკითხს. ერთი სიტყვით ლეგვანდელ პირობებში გზის გაკეთება წარმოადგენს სვანეთის სათავეს და დასაწყისს ყოველგვარ დაწყებულებათა და ყოველივე განვითარებისათვის. მის გარეშე სვანეთის განვითარება არსებითად წარმოუდგენელია.

მეორე მხრით ჩვენ არ უნდა დავფაროთ ის სიძნელენი, რაც მთავრობას უდგას წინ ამ საქმეში. ფართო საზოგადოების დაუხმარებლად მარტო მთავრობის სალაროს გაუჭირდება ამ საქმის დაჩქარებით დაბოლოვება. საჭიროა აქაც (ცენტრში) და იქაც (სვანეთში) სვანეთის გზის ირგვლივ ამოძრავდენ საზოგადოებრივი ძალები, და-

არსდენ საზოგადოებები და კომიტეტები მთავრობის დასახმარებლად სვანეთში გზის გასაყვანად. ასეთ საზოგადოებებს არა მარტო მორალური მნიშვნელობა ექნებათ, იმათ შეეძლებათ ნივთიერი დახმარების აღმოჩენაც. ამ ორი თუ სამი წლის წინად იყო ცდა ასეთი საზოგადოების შესაქმნელად. თუ მაშინ ამისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო, დღეს ეს ნიადაგი უკვე არსებობს. საბჭოთა მთავრობის და ფართო საზოგადოების შეერთებული ძალა შესძლებს ამ დიდი საქმის რაც შეიძლება დაჩქარებით განხორციელებას.

4. ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი.

თუ სვანეთში გზის გაყვანას და აგრეთვე იმ გარემოებას, თუ რომელი მიმართულებით იქნება ეს გზა გაყვანილი, აქვს სვანეთისთვის უაღრესად დიდი და არსებითი მნიშვნელობა, სამაგიეროდ ეს არ ითქმის იმაზე, იქნება ზემო სვანეთის სამაზრო ცენტრი იქ, სადაც ის დღეს არის, ე. ი. მესტიაში, თუ იქ, სადაც ის წინად იყო, ე. ი. ბეჩოში. მესტიასა და ბეჩოს შუა 12 ვერსია. ზემო სვანეთისთვის საერთოდ სულ ერთია, იქნება ეს ცენტრი მესტიაში თუ ბეჩოში. სამწუხაროდ, ამ საკითხის ირგვლივ დღეს დიდი დავაა ატეხილი. თითქმის ყველა მიტინგზე გზის შემდეგ ხალხი ამ საკითხს აყენებდა. ზოგი ითხოვდა სამაზრო ცენტრის მესტიაში დატოვებას, ზოგი კიდევ მის გადატანას ბეჩოში. ამ საკითხშიაც ზემო სვანეთის მცხოვრებლები ორ ბანაკად, ორ ნაწილად იყოფებიან. ერთი მხრით ყოფილი თავისუფალი სვანეთი, რომელიც მოითხოვს ცენტრი დარჩეს მესტიაში; მეორე მხრივ კი, ყოფილი სადადიშქელიანო სვანეთი მოითხოვს ცენტრის ისევ ბეჩოში დაბრუნებას. ვიმეორებ, რომ სვანეთის ხალ

ხისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ იქნება სამაზრო ცენტრი მესტიაში, ბეჩოში თუ კიდევ სხვა რომელიმე ადგილას, მაგ., თუნდაც ლატალში. მაგრამ, რადგანაც ამის შესახებ სწარმოებს დავა თვით სვანეთში—საჭიროა ამ დავაში გავერკვიოთ. თითეულ საკითხს, რაგინდ წვრილმანი არ უნდა იყოს ის, აქვს თავისი პატარა ისტორია.

საქმე იმაშია, რომ სვანეთს, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, არასოდეს არ ჰქონებია ისეთი ცენტრი, რომელსაც ჰქონებოდა მისთვის გამაერთიანებელი ხასიათი ან აღებმიცემობისა, ან სწავლა-განათლების ან სხვა რაიმეს მხრით. სვანეთს არ შეუქნია არც ქალაქი, არც აღებმიცემობა და არც ქალაქური წარმოება. სვანეთის ტერიტორიაზე ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ცალკე სოფლებს, რომლებიც ერთმანეთს გვანან, რომელნიც ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით არ განირჩევიან. მაგრამ თვითმპყრობელობის დროს მთავრობამ გაიჩინა ადმინისტრატიული ცენტრი ბეჩოში. იქვე იყო საეკლესიო პუნქტი, რომელიც მხოლოდ ზაფხულობით, 2—3 თვის განმავლობაში მოქმედობდა. გარდა ამისა იქვე იყო გაკეთებული სახელოსნო სასწავლებელი,—ერთად-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება სვანებისათვის მაშინდელ დროში.

ასეთი მდგომარეობა იყო, რამდენადაც მე ვიცი, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამდე საქართველოში და რამდენსამე ხანს შემდეგშიაც. მაგრამ 1922 წელს, თუ არ ვცდები, სამაზრო ცენტრი მულახში იქნა გადატანილი. მაგრამ 1923 წელს ის ისევ ბეჩოში დააბრუნეს 1924 წლის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ სამაზრო ცენტრი გადააქვთ მესტიაში, სადაც ის დღევანდლამდე იმყოფება. ასეთია მოკლე ისტორია სამაზრო ცენტრის

ხეტიალისა ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში.

ბეჩოელები და საერთოდ სადადიშქელიანო სვანეთი ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ სამაზრო ცენტრი ეკუთვნოდა იმათ და მესტიელებმა ის მათ წაართვეს. ხოლო 1924 წელს ბეჩოდან ცენტრის გადატანის მიზეზი იყო ის, რომ გამოსვლების დროს ბეჩოში ყველა შენობები აჯანყებულებმა დაანგრიეს და ამის გამო სამაზრო დაწესებულებებს იქ მუშაობა აღარ შეეძლოთ. ამიტომ ცენტრი გადაიტანეს მესტიაში, სადაც ხალხის დახმარებით მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე შენობა შეაკეთეს სხვადასხვა დაწესებულებათათვის, და თუ ეხლა სამაზრო ცენტრი მესტიიდან ისევ ბეჩოში იქნა გადატანილი, მესტიელები თავს შეურაცხყოფილად ჩასთვლიან. ასე დგას საკითხი.

როგორ უნდა გადასწყდეს სამაზრო ცენტრის საკითხი ზემო სვანეთში, თუ რომ მართლა ობიექტიურად მივუდგებით საქმეს? ე. ი. თუ მივიღებთ მხედველობაში მთელი ზემო სვანეთის მაზრის ინტერესებს და არა ბეჩოს ან მესტიის ინტერესებს.

რომ მივუდგეთ ამ საკითხს ჯერ მარტო იმ მხრით, თუ რომელი პუნქტია, ე. ი. მესტია თუ ბეჩო, ზემო სვანეთის შუაგული ადგილი, სიმართლე უფრო ბეჩოსკენ იქნება; ამისთვის საკმარისია, რომ სვანეთის ქარტას გადახედოთ. მაგრამ რადგან მესტიისა და ბეჩოს შუა სულ 12 ვერსია, ეს გარემოება გადამჭრელ როლს ვერ ითამაშებს აქ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბეჩოს და მის მიდამოებს აქვთ კიდევ სხვა უპირატესობაც მესტიის წინაშე. მართალია, დღემდე ზემო სვანეთში არსებითად არავითარი ცენტრი არ ყოფილა, მაგრამ გზის გაყვანის შემდეგ ასეთი ცენტრი აუცილებლად უნდა გაჩნდეს. ამ მხრით უპი-

რატესობა ბეჩოსკენ არის, ვინაიდან იქ არის ისეთი პირობები, რომლებიც ასეთი ცენტრის გაფართოებას ხელს შეუწყობენ. მესტიას ასეთი გასაქანი, ასეთი სიფართე არ აქვს. ასე რომ ბოლოს და ბოლოს, ზემო სვანეთის ბუნებრივი ცენტრი ბეჩოში უნდა დარჩეს, მას აქვს უტეტვო მომავალი.

რაც შეეხება დღევანდელ დაყას ცენტრის ირგვლივ, ამას არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს. როგორც მესტიაში, ისე ბეჩოში არსებობენ სამაზრო მნიშვნელობის დაწესებულებები, რომლებიც არც ერთ იმათგანს არ წაერთმევათ, სულ ერთია—მესტიაში დარჩება სამაზრო ცენტრი, თუ ის გადატანილი იქნება ბეჩოში.

ვიმეორებ კიდევ ერთხელ, რომ სვანეთის ხალხისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, იქნება სამაზრო ცენტრი მესტიაში თუ ბეჩოში. ზემო სვანეთისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და ექნება იმას, რომ სვანეთში გაჩაღდეს კულტურულ-აღმშენებლობითი მუშაობა ხალხის სასარგებლოდ, რომ ყველა თემში და სოფელში მოეწყოს სათანადო საბჭოს აპარატი, სკოლა, ექიმობა, რომ სვანეთში განვითარდეს მეურნეობა. აი, საითკენ უნდა იყოს მიქცეული სვანეთის ხალხის მთელი ყურადღება და არა იქითკენ, თუ სად, რომელ თემში იქნება ბინა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მას ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას ჰქონდეს ბინა, მაგრამ სვანეთის ხალხმა უნდა გამოიჩინოს იმდენი შეგნება და შორს-მხედველობა, რომ ამ საკითხის ირგვლივ არავითარ გამწვავებას ადგილი არ უნდა დაურჩეს. და მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის საერთო შეთანხმებით და მორიგებით გადაიჭრება მთელი ზემო სვანეთის სასარგებლოდ.

V.

ალმშენებლობითი მუშაობა ზემო სვანეთში.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნამდვილი დადებითი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ დაიწყო ზემო სვანეთში 1924 წ. ბოლოდან და ეს მუშაობა გაიშალა იქ მხოლოდ 1925 წლიდან. საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სვანეთში არაფერი გაკეთებულა. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი წლების მუშაობას, ამაზე უნდა ვსთქვათ შემდეგი: შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ ხანებში სვანეთში არაფერი გაკეთებულიყოს, სრულებით არავითარი დადებითი მუშაობა იქ არ წარმოებულიყოს; მაგრამ, სამწუხაროთ, იმ ხანების დადებითი მუშაობა მეტად მცირე იყო, და რაც იყო, ისიც კარგავდა ყოველივე მნიშვნელობას ხალხის თვალში, იმდენათ დადებითი მუშაობას სჭარბობდა მაშინ უარყოფითი მუშაობა. იმ ხანიდან დადებითი მუშაობის კვალი თითქმის არა სჩანს, სამაგიეროთ ამ მუშაობის უარყოფითი შედეგები დღემდისაც მოსპობილი არაა, და იმათი ლიკვიდაციაც არც თუ ისე ადვილია ჩვენთვის. ასეა თუ ისე, 1925 წ. იწყება სვანეთში შესამჩნევი გარდატეხა. ამას ადასტურებენ თვით სვანებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ, თუ მომავალშიაც მუშაობა წავიდა წინ ამგვარად, სვანეთის ხალხი ბედნიერი შეიქნებაო.

რაში გამოიხატება ეს გარდატეხა ანუ ეს ახალი ხანა სვანეთის ცხოვრებაში? არსებითად აქ მაინცა და მაინც ახალი, ან დიდი არაფერია. უწინარეს ყოვლისა აქ ხალხთან, გლეხებთან სწორი მიდგომის საკითხზეა ლაპარაკი. საქმე აი რაშია: პირველ ხანებში სვანებს ორ-

გვარი ხელმძღვანელები მოევლინენ. აქ აღმოჩნდენ ერთის მხრით ისეთი **კომუნისტები**, **რომლებმაც** ერთი დაკვრით მოინდომეს სვანების გაკომუნისტება—ესენი იყვენ **„მეშარცხენე“ კომუნისტები**, რომელთაც განზრახვები კეთილი ჰქონდათ, შაგრამ მუშაობის და ხალხთან მიდგომის მეთოდები უვარგისი და გამოუსადეგარი. ხალხს იმათი არა ესმოდა რა და იგი განზე გადგა. ზოგიერთ შემთხვევაში კი გაბრაზდა. სრულებით სხვანაირი იყვნენ მეორე ჯგუფის „ხელმძღვანელები“. თუ პირველებს კეთილი განზრახვა მაინც ჰქონდათ და მხოლოდ მუშაობის და მიდგომის მეთოდები არ უვარგოდათ, სამაგიეროდ უკანასკნელნი მოკლებული იყვნენ ერთსაც და მეორესაც. ესენი იყვნენ ავანტიურისტები და პროვოკატორები, ან და პირდაპირ ბნელი ელემენტები, რომლებიც, სარგებლობდნენ რა თავისი მდგომარეობით, ხალხს აწუხებდნენ რეკვიზიციებით, კონფისკაციებით, ჯარიმებით და სხვადასხვა უკანონო გადასახადებით. და მერე ვინ ეპატრონებოდა ამ ძალით და უკანონოდ ჩამორთმეულ და წართმეულ ქონებას? რა თქმა უნდა არა ხალხი, არამედ თვით ეს არამზადები. ხალხი აღშფოთდა ასეთი მოქმედებით. შედეგები ყველამ კარგად იცის.

საჭირო იყო ორნაირი ზომების მიღება, რათა ყოველივე ამას ბოლო მოღებოდა. პირველად, ბნელ და საეჭვო პირების განდევნა სვანეთიდან და იმათი პასუხისგებაში მიცემა და მეორედ, მუშაობის და ხალხთან მიდგომის მეთოდების ძირიანად შეცვლა.

აი ეს ზომები იქნა მიღებული, რამაც გამოიწვია **ხაბეოთა აპარატების გაწმენდა და გაჯანსაღება**. ამ გარემოებამ ერთბაშად მოახდინა ხალხზე დიდი გავლენა. იგი დღეს ხმამაღლა აცხადებს: ახლა გავიგეთ, თუ რა ყო-

ფილა საბჭოთა ხელისუფლებაო. რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ მხრით გადადგმული, ჯერ მხოლოდ დაწყებულია მუშაობა საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ესეც დიდი საქმეა. ხოლო რაც ყველაზე უფრო სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს, ეს ის, რომ გლეხებთან მიდგომამ მიიღო სწორი მიმართულება, რომ სამხედრო კომუნიზმის მეთოდები განდევნილია ხმარებიდან ან, ყოველ შემთხვევაში, იდევნება მაინც. ამან გამოიწვია ის, რომ ხალხი დღეს უკვე ნდობით უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას; და ეს მოხდა შედარებით სულ მცირე ხნის განმავლობაში, სულ ერთი წელიწადიც არ იქნება. მართალი უნდა ითქვას, სრული ნდობა რომ ჩამოვარდეს, ამისათვის კიდევ დიდი შრომაა საჭირო.

რაც შეეხება აღმშენებლობითი მუშაობას სხვადასხვა დარგში, ჩვენ მოკლეთ უნდა ვუჩვენოთ აქ შემდეგზე. დავიწყოთ **სწავლა-განათლებიდან**:

ეჭვს გარეშეა, რომ სკოლის საქმეში ჩვენ გვაქვს ზემო სვანეთში დიდი გაუმჯობესება. უპირველეს ყოვლისა ყველა თემებში არსებობს ერთი ან ორი სკოლა; შენობები შედარებით საკმარისად კარგად შეკეთებულია, მოწაფეთა რიცხვი ერთი-ორად და ერთი-სამად გადიდებულია. არ ჰყოფნით მხოლოდ შენობები და მასწავლებლები. წელს იხსნება ბეჩოში **პირველი შვიდწლედი**. გარდა ამისა სვან-მოსწავლეების რიცხვი ქუთაისსა და, განსაკუთრებით, თბილისის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ასამდე აღწევს და მათი რიცხვი თანდათან გაიზრდება. გარდა ამისა მიღებულია ზომები, რომ ყოფილი **სახელოსნო სასწავლებელი**, რომელიც ბეჩოში არსებობდა და რომელიც დღეს დანგრეულია,—ისევ აღდგენილ იქნას. ამ სასწავლებელს უდიდესი მნიშვნელობა

დაურჩება სვანეთის აღორძინების საქმეში. ამიტომ მის აღდგენას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება თვით სვანეთის მხრითაც. საჭიროა, რომ ამ საქმეში მათ დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას.

გარდა ამისა, სვანეთში ბევრია ობლები და საერთოდ უმწეო ბავშვები. აქამდე იქ არ იყო ბავშვების თავშესაფარი; მომავალი წლიდან მიღებულია ზომები, რომ ასეთი თავშესაფარი ვაიხსნას ბეჩოშივე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველგვარი სამოსწავლო ნივთები უფასოთ ურიგდება ბავშვებს.

მაგრამ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შედარებით ყველაზე მეტი მიღწევა ზემო სვანეთში საექიმო დარგშია. ჩვენ გვაქვს იქ საავადმყოფო ორ ადგილას (მესტიაში და ბეჩოში) მუდმივი საწოლებით, დაახლოვებით 30—40 საწ., ქირურგიული და ტერაპევტიული განყოფილებებით და გარდა ამისა კიდევ ოთხი ამბულატორია—ანუ საექიმო პუნქტი ექიმებით, ბებიე-ქალებით და ფერშლებით (მესტიაში, ბეჩოში, კალაში და ლახამულში). რა თქმა უნდა, ყველა ამ დაწესებულებებში ექიმობა და წამლობა სრულიად უფასოა. გარდა ამისა წელსვე დაწესდა მესტიაში **პირველი ნორმალური აფთიაქი და პირველი კბილის საექიმო კაბინეტი.** პირდაპირ გაოცებას ეძლევით, როცა ყოველივე ამას ხედავთ ასეთ მიყრუებულ და მოწყვეტილ მხარეში, როგორიც არის ზემო სვანეთი.

ამ მხრით ზემო სვანეთი შეიძლება წინ იდგეს ბევრ ჩვენ მაზრებზედაც. მხოლოდ შენობები არ უვარგათ სვანეთის საავადმყოფოებს, მაგრამ ამ მხრითაც მიღებულია შესაფერი ზომები. ყოველ შემთხვევაში სვანეთის ექიმებს დღესაც შედარებით ბევრად უფრო კარგ შენობებში უხდებათ მუშაობა, ვინემ მაგ. ახალქალაქის მაზრის, სოფ.

კარზახის ექიმ-ქალს, რომელიც მე ვინახულე წელს ზაფხულში. და ეს სოფელი გამონაკლისი არაა **ახალქალაქის** მაზრაში.

რა თქმა უნდა, საექიმო საქმის მოწყობას ზემო სვანეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სვანებისთვის. ზემო სვანეთიდან ხომ შეუძლებელია ცოტად თუ ბევრად სერიოზული ავადმყოფის სადმე გადაგზავნა საექიმოდ; მაშასადამე, ასეთი ავადმყოფი უნდა გამოესალმოს სიცოცხლეს უექიმობის გამო. მაგრამ ეს გარემოება დღეს ზემო სვანეთში თავიდან აცილებულია. საერთოდ ამჟამად საბჭოთა ხელისუფლება აქცევს დიდ ყურადღებას სვანეთის ხალხის გაჯანსაღებას. **ხწორედ** ამ მიზნით გახგზავნა იქ წელს ზაფხულში **საექიმო ექსპედიცია,** შემდგარი სხვადასხვა საექიმო დარგის სპეციალისტ-პროფესორებისაგან. ამ ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალები და მისი დასკვნები ჯერ გამოქვეყნებული არაა. ყველა ეს მასალები, იმედია, ფართოდ იქნება გამოქვეყნებული, ვისგანაც ჯერ არს პრაქტიკული ზომების მისაღებად. ჯერჯერობით კი შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობის მხრით სვანეთში საჭიროა მთელი რიგი ზომების მიღება, მაგრამ ყველაფერი აქაც დამოკიდებულია გზის გაყვანაზე. თუ ეს განხორციელდება, მაშინ ამ დარგშიაც მდგომარეობის შეცვლა ადვილი იქნება.

კოოპერაციის საქმეც სვანეთში მხოლოდ წელს დაიწყო. ამა წლის 6 თებერვალს მესტიაში გაიხსნა ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება სახელწოდებით „**უშბა**". განზრახულია ამ მოკლე ხანში ბეჩოშიაც გაიხსნას მისი განყოფილება.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის განვითარებას განსაკუთრებით ზემო სვანეთში, ამას თქვენ

დააფასებთ თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ზემო სვანეთში დღემდე არსად, არც ერთ სოფელში ერთი სავაჭრო დუქანიც კი არ ყოფილა. თვითონ სვანს თავისი ზურგით უნდა ეზიდა თავის ოჯახისათვის საჭირო საქონელი, პური, მარილი, რკინეულობა, საპონი და სხვა. არც ერთ ადგილას ისე ვერ დააფასებენ კოოპერაციის ნიშვნელობას, როგორც სვანეთში. სწორედ სვანეთისათვის კოოპერაცია მისწრებაა. არც მომხმარებელ და არც მწარმოებელ კოოპერაციას არსად არ ექნება ისეთი ნიადაგი, როგორც სვანეთში.

მთელი სვანეთი ადვილად შეიძლება ჩაებას კოოპერატიულ აღმშენებლობაში. მხოლოდ საჭიროა, რომ ამ თავიდანვე საქმე არ გაფუჭდეს, საჭიროა რომ **თავიდანვე კოოპერაციამ ხალხის ნდობა დაიმსახუროს.** სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ საქმეს სვანეთში სათავეში უდგას თვით სვანი, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული და რომელიც საქმის მცოდნეა. მაგრამ კოოპერაციას, როგორც საზოგადოთ ყოველივე საქმეს სვანეთში, განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა. მაგ., ფუთი საქონლის მიტანა სვანეთში ჯდება 3—4 მანეთი, და ეს მიტანაც შესაძლებელია წელიწადში დაახლოვებით 3—4, ან დიდი-დიდი, 5 თვის განმავლობაში. დანარჩენი ხნის განმავლობაში მან უნდა შეინახოს თავი იმით, რაც მოტანილი აქვს. ამიტომ მას ესაჭიროება ცენტრის მხრით განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება. ეს ყურადღება და დახმარება ესაჭიროება სვანეთის კოოპერაციას განსაკუთრებით სესხის ვადის გაგრძელების მხრით. მე მგონია, ამას არ ესაჭიროება დიდი ახსნა-განმარტება, და რამდენადაც ვიცი, ამ მხრით მიღებულია სათანადო ზომები.

აშკარაა, კოოპერაციის სიკეთე რომ იგრძნოს სვანეთის ხალხმა, ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რათა კოოპერატივი გახსნილ იქნას ზემო სვანეთის თითოეულ თემში, ვინაიდან როგორც მესტია, ისე ბეჩო 50—100 ვერსით არიან დაშორებული ზოგიერთი თემებიდან და, რა თქმა უნდა, რომ ასეთ მანძილზე მდებარე სოფლები კოოპერაციისაგან შეღავათს ვერ იგრძნობენ.

კერამიკული ქარხანაც სრულიად ახალი საქმეა ზემო სვანეთში. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ქარხანას, ეს აშკარად სჩანს იქიდან, რომ სვანეთში დღემდე არ იცოდენ თიხის ჭურჭლის ხმარება, არ იცოდენ არც თიხის ჭურჭლის გაკეთება, არც კრამიტის და არც აგურის. კერამიკული ქარხანა, სადაც უნდა დამზადდეს ყველა ეს საგნები, უკვე მოქმედობს ამ წლიდან ბეჩოში. მე დავათვალიერე ეს ქარხანა და იქ დამზადებული საგნები. ქარხანა მხოლოდ ეხლა იწყებს მოქმედებას. მცოდნე კაცები, მოხელეები გამოწერილია თბილისიდან. ამ საქმეს დიდი მომავალი აქვს და დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლია სვანეთისათვის. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს საქმე არ ჩაიშალოს, რადგანაც მას ბევრი დაბრკოლებები აქვს დასაძლევი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო აქ აგრეთვე ისეთი წვრილმანი ფაქტებიც, როგორიც არის, მაგ., კლუბების და თეატრების მოწყობა ზემო სვანეთში, ან პირველი მარტივი სალეწავი მანქანის მიტანა იქ. მართალია, ეს წვრილმანი საქმეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სვანეთისათვის ამ წვრილმან ფაქტებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგანაც ეს მხარე აქამდის ასე მოწყვეტილი და ჩამორჩენილი იყო და არის დღესაც.

აი ის მხარეები, რომლებზედაც მე საჭიროდ მიმაჩ-

ნია მკითხველების ყურადღების მიქცევა. მაგრამ სანამ საერთო დასკვნებს გავაკეთებდე, საჭიროა კიდევ აქვე სამი გარემოება აღვნიშნო, სახელდობრ შემდეგი:

ა) **4000—5000 სვანი** სცხოვრობს **აფხაზეთში, ღალის რაიონში.** ესენი გადასახლებულან იქ ზემო სვანეთიდან დაახლოებით ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში; გადასახლება აიძულა მათ ზემო სვანეთში მიწის უქონლობამ თუ სივიწროვემ. გადასახლებულები, როგორც გადმოგვცეს, იმყოფებიან მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში, რადგანაც ადგილობრივი ხელისუფლება მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ან სრულებით არ აქცევს. მათ არ მოეპოვებათ არც სკოლა, არც სხვა რამე კულტურული დაწესებულება. ერთი სიტყვით, განიცდიან დიდ შევიწროებას. ამ გარემოებას უნდა მიექცეს აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის ყურადღება.

ბ) **სვანების ურთიერთობა მეზობელ მაზრებთან.** სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა გამწვავებულა და არანორმალური სახე მიუღია ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. ამ ურთიერთობის ნიადაგზე ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი, რის გამო იჩაგრებიან სვანები. როგორც ვიცით, სვანები სამუშაოდ დადიან სხვადასხვა მაზრებში, ლეჩხუმში, რაჭაში, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში და სხვაგანაც. უკანასკნელ დროს ისინი სამუშაოს ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობენ. არის შემთხვევები სვანების შეურაცხყოფის, როგორც სიტყვით, ისე შეხებითაც. ამას ჰქონებია ადგილი, მაგ., ლეჩხუმის მაზრაში. ქუთაისის მაზრაში ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენლების უყურადღებობით და დაუდევრობით რამდენიმე სვანი, სამუშაოს საძებნელად ჩამოსულნი, სიცოცხლეს გამოსალმებიან. ერთად ერთი გასამართლებელი საბუთი ცუდი განწყო-

ბილებისა სვანებთან ჰქონებიათ რაჭის მაზრის სოფ. ღებ-ის მცხოვრებლებს, რომლებისთვისაც სვანებს უშგულის თემიდან 1918 წელს მენშევიკების რჩევით მოუტაციათ 186 საუკეთესო ხარი. ამის გამო მათ შორის ჩამოვარდნილა მტრული დამოკიდებულება. სვანებს ეს მოქმედება კანონიერად მიუჩნევიათ და ხარები არ დაუბრუნებიათ. და მას შემდეგ სვანები ფეხს ველარ ადგამენ არა თუ ღებში, არამედ მთელ რაჭის მაზრაში. მოგზაურობის დროს ჩვენ ჩაგვყვა რაჭის მაზრაში რამდენიმე სვანი. ეს იყო პირველი შემთხვევა 1918 წლის შემდეგ. ჩვენ შევეცადეთ სვანების და ღებელების მორიგება, ძველი ცოდვების დავიწყება, ძმურად ერთმანეთისთვის ხელის გაწოდება. ღებელები პირველად თუმცა უარზე იყვნენ, მაგრამ შემდეგ თანხმობა გამოაცხადეს და ვოგვცეს სიტყვა, რომ ამიერიდან ისინი შეეცდებიან სვანეთთან კარგი განწყობილება იქონიონ. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ღებელები შეასრულებენ თავის დაპირებას.

გ) სვანებს ძველთაგან შერჩენილი აქვთ მრავალი ისეთი ჩვეულებები, რომლებმაც არა თუ დაკარგეს ყოველივე მნიშვნელობა, არამედ დღეს ისინი ხალხს პირდაპირ ზიანს აყენებენ. ასეთებია: სისხლის აღება შურისძიების ნიადაგზე, ქალის მითხოვება მშობლების მიერ თითქმის ძუძუმწოვარ სასიძოზე ქალის სურვილის წინააღმდეგ, კვირაში უქმობა 3 სამნახევარი დღე და სხვადასხვა. უნდა ითქვას, რომ ეხლა სვანები უკვე. გრძნობენ, რომ ეს ჩვეულებები აღარ ეგუებიან დღევანდელ პირობებს. მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, და მასთან ბრძოლა ადვილი საქმე არაა. ამ ჩვეულებებს აღმოფხვრის მხოლოდ სვანეთის კულტურული და ეკონომიური აღორძინება, ე. ი. სვანეთის საწარმოო ძალ-

თა განვითარება. აშკარაა, რომ ეს ერთბაშად არ მოხდება. ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ სვანეთში მომუშავე ორგანოებმა გააძლიერონ მუშაობა მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ, მაგრამ რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მიმართონ რეპრესიულ ზომებს, თუმც ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ზომების ხმარებაც აუცილებელი იქნება. ასე, მაგ., შურისძიებისთვის სისხლის აღების ნიადაგზე საჭიროა დამნაშავის სასტიკად დასჯა. ამას ითხოვენ თვით სვანებიც საჯარო მიტინგებზე, რომლებიც ჩემი ყოფნის დროს იქნენ გამართული სვანეთის სხვადასხვა ხეობებში.

ამით ვათავებ ჩემ მოკლე შენიშვნებს სვანეთის შესახებ. ყველა ამათ მხოლოდ პრაქტიკული ხასიათი აქვთ. რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან?

1) ის ღონისძიებები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ იხმარა სვანეთში ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში, მეტად მიზანშეწონილი გამოდგენ; იმათ მოყვა შედეგად დიდი გარდატეხა სვანებში საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, იმათ მოუპოვეს ხალხში საბჭოთა მთავრობას დიდი ნდობა და ასწიეს ხალხის თვალში ეს მთავრობა. მაშასადამე, მუშაობა სვანეთში შემდეგში უნდა გაგრძელდეს ამ ღონისძიებათა ნიადაგზე.

2) სვანეთში სიმდიდრენი ჯერ სრულიად ხელუხლებელი და გამოუყენებელია, გარდა ტყისა, რომელიც სამწუხაროდ, პირდაპირ მტაცებლური წესით იფლანგებოდა წინედ და იფლანგება დღესაც. სვანეთში დიდი მომავალი აქვს მესაქონლეობას და მესაქონლეობის ნაწარმოებს,—რძეს, ყველს, ერბოს, ხორცს, ტყავს და სხვ.; შემდეგ მეფუტკრეობას, ხე-ტყის წარმოებას, მადნების დამუშავებას, საკურორტო საქმეს და სხვ. და სხვ.

3) სვანეთში არ განვითარებულა ხელოსნობა და ხე-

ლოსნური წარმოება. სვანეთში თქვენ ვერ იპოვნით ერთ ხარაზსაც. აქ არ იცოდენ თიხის ჭურჭლეულობის კეთება, არ იცოდენ ვაჭრობა. უნდა ვიფიქროთ, რომ სვანი ყველა ამ ხელობას ზიზღით ეყურებდა და თავისთვის მათ დამამცირებლად სთვლიდა. აუცილებლად მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ ხალხმა შეისწავლოს სხვადასხვა ხელობა, დურგლობა, ხარაზობა, მჭედლობა და სხვ. ამ მიზნით უნდა აღდგენილ იქნას სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც წინედ ბეჩოში არსებობდა და რომლის შენობა ამჟამად დანგრეულია და ნივთები გატაცებული; ამავე მიზნისთვის უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს კერამიკული ქარხანა ბეჩოში, რომლის საფუძველი მიმდინარე წელს ჩაიყარა, უნდა დაარსდეს ქალებისთვის ჭრა-კერვის სკოლა და საფეიქრო სახელოსნო.

4) ყველა ღონისძიებათა სათავეში უნდა დაყენებულ იქნას გზატკეცილის გაყვანა ზემო სვანეთში. ესაა მთელი სვანეთის საერთო სურვილი. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება სხვა ღონისძიებათა განხორციელება სვანეთში. ბოლოს მაინც სვანები უნდა გამოვიდენ ისტორიული განვითარების ასპარეზზე და დაუახლოვდენ განათლების და კულტურის ცენტრებს.

5) სვანეთში გზატკეცილის გაყვანა სასარგებლო იქნება არა მარტო სვანეთისთვის, ის სასარგებლო იქნება მთელი რესპუბლიკისათვისაც. სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრე გამოყენებულ იქნება, რა თქმა უნდა, არა ერთბაშად, არამედ თანდათან. უპირველეს ყოვლისა გამოყენებული იქნებიან სვანეთის მდიდარი საძოვრები და სათიბები, როგორც ადგილობრივი მესაქონლეობის განსავითარებლად, აგრეთვე ზაფხულობით სხვა მაზრებიდან მიდენილ საქონლისათვის. წარმოების სხვა დარგების გან-

ვითარებაზე სვანეთში, რაც შეძლებას მოგვცემს იქ საზ-ღვარგარეულ გასატანი საგნები დავამზადოთ,—აქ მე აღარ გავჩერდები.

6) ჩვენ ვიცით, რომ ბევრი მეტად პესიმისტურად უყურებს სვანების მომავალს, ე. ი. უიმედობას გამოსთქ-ვამენ მათ მომავალ ბედზე. რა თქმა უნდა, ასეთ უიმე-დობას საფუძველი აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ სვანების წარსულს და აგრეთვე დღევანდელ მდგომარეო-ბასაც, როცა სვანეთი მოკლებულია ეკონომიური განვი-თარების და კულტურული აღორძინების ელემენტარულ პირობებს, როცა ის თითქო ჩაკეტილია კავკასიონის მთა-გრეხილის უზარმაზარ მთებს შუა და იქიდან გამოსავალი არა აქვს. მაგრამ თუ ეს პირობები გამოიცვლება, თუ დღევანდელი უმწეო მდგომარეობა გზის უქონლობის მხრით თავიდან აცილებული იქნება, მაშინ ჩვენ სრული საფუძველი გვექნება და გვაქვს განვაცხადოთ, რომ სვა-ნეთს და სვანეთის ხალხს დიდი მომავალი აქვს, რომ ხალხი, რომელიც დღეს იჩენს ასეთ დიდ სურვილს განათ-ლების შესაძენად და კულტურის შესათვისებლად, ძლიერ წინ წავა. მაგრამ ყველა ამის უზრუნველყოფა სვანებისა-თვის ძალუძს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას.

აქედან აშკარაა, რომ თუ არ ოქტომბრის რევო-ლიუცია, თუ არ საბჭოთა ხელისუფლება, სვანებს სულ მოკლე ხანში არ ასცდებოდა სრული გადაშენება ან მოსპობა.

ასეთია ჩემი დასკვნები.

მე ვათავებ.

დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩემი შენიშვნები სვანეთზე და სვანებზე და ის დასკვნები, რომლებიც მე აქედან გამომაქვს, დაინტერესებენ როგორც თვით სვა-

ხებს, ისე სხვებსაც, ე. ი. საერთოდ ჩვენ მშრომელ მასას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მარტო დაინტერესება არ კმარა. ჩვენ ხომ პრაქტიკულ საქმეებს და პრაქტიკულ ღონისძიებებს ვეხებით. საჭიროა გამოხმაურება, საჭიროა კრიტიკული შეფასება ამა თუ იმ ღონისძიებების, რომლებზედაც აქ ლაპარაკია.

მე ვცდილობდი გამეგო თანამედროვე სვანის სულისკვეთება, მისი მთავარი მოთხოვნილებანი და გასაჭირი და შეძლებისდაგვარად პასუხი გამეცა ყველა ამაზე. სვანებს გარდა დაახლოვებით ასეთსავე პირობებში იმყოფებიან აგრეთვე ხევსურები. მაგრამ მათ შორის, ყოველ შემთხვევაში, საკმარისად დიდი განსხვავებაა; ხევსურების შესახებ ჩვენ ცალკე მოგვიხდება ლაპარაკი. ეხლა კი ვლაპარაკობ მხოლოდ სვანებზე. რასაკვირველია, ჩვენი მთავრობა კარგად გრძნობს, რომ ის ამ შემთხვევაში მეტად ძნელ და მეტად დიდ ამოცანებს ისახავს განსახორციელებლად, და მარტო მისი ძალები აქ საკმარისი არ იქნება, თუ მან მუშათა და გლეხთა ფართე მასები არ დააინტერესა მასში მონაწილეობის მისაღებად. ზევით მე ერთ ადგილას ვამბობ, რომ კარგი იქნებოდა, რომ ან სვანეთში, ან ტფილისში შესდგეს საზოგადოება, კომიტეტი ან რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის გვერდით მოაწყობს საზოგადოებრივ დახმარებას იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად სვანეთში, რომლებზედაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, და პირველ ყოვლისა იქ გზა-ტკეცილის გასაყვანად.

მაგრამ აქვე ვაყენებ საკითხს კიდევ სხვანაირად. ეეე, ასეთი საზოგადოება თუ კომიტეტი შესდგეს. თუ საქმიანი იქნება,—ის სარგებლობას მოიტანს. მე ბევრად უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია, **რომ ტფილისის რა-**

ფასი 50 კაპ.

91
ᲒᲐ 442

ამ წიგნაკის წმინდა შემოსავალი გადაიდება სვანეთის კომიტეტის სასარგებლოდ.